ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 19 აგვისტო, 2021 №153 (8682) ფასი: 60 თეთრი

„ზვიადაურმა კენჭოშვილს საყელოში ხელი წაავლო, მაგრამ მისი გაკავება ვერ მოახერხა და ამიტომ ესროლა“

პროკურატურამ ზვიადაურს განზრახ მკვლელობის ფაქტზე ბრალდება წარუდგინა

გვ.5

„კუჭავაც ძალიან მაგარი ნაციონალი იყო“

მურმან დუმბაძე:

„ხელისუფლება აღწერებს აკეთებს და იმ ოჯახებს, რომლებსაც პრობლემები აქვთ, ფულით უგვარებენ. „ოცნება“ კანონით აკრძალული ილეთით ცდილობს გამარჯვების მიღწევას“



გვ.3

„საქართველომ თალიბებისაგან საფრთხე უკვე მიიღო“

გვ.2

ვახტანგ მაისაია: „ავღანელები ძალიან თავმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ერია. ისინი არც ერთ დამპყრობელს და მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენელს არ ემსახურებიან“



გვ.2

„ანტივაქსერების კამპანიას ხელისუფლება აფინანსებს“

შალვა ხაჭაპურიძე: „ოპოზიციას არაფერი შეუძლია... საღამოს მემარცხენეები არიან, დილით მემარჯვენეები“

გვ.4

„საარჩევნო სისტემა კორონავირუსივითაა, რომელსაც ყველაფერს აბრალებენ“

ანზორ აბრალავა: „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზე გავა. ეს მოხდება ოპოზიციის სისუსტის გამო“

„დღეს აფხაზეთი განსაკუთრებით დიდი საფრთხის წინაშე დგას“

ჯემალ გამახარია: „რუსეთი არა მარტო საქართველოს მტერია, არამედ აფხაზების მტერიცაა“

გვ.4

გვ.2

მიხეილ სააკაშვილი: „მართლა სრული ფარჩაკები უნდა ვიყოთ, რომ ესენი ვერ გავყაროთ“

ISSN 1987-9385

3 მამუკა მდინარაძე: „ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკიდან უნდა გავიდეს“

4 „მოგვინია კომაში გადაყვანა, იყო აუცრელი“ — ბოკერიას კლინიკაში 7 თვის ორსული გარდაიცვალა

5 აშშ-ში მცხოვრებ პირს 300 დოლარი მოტყუებით გადმოარიცხვინა გ.ლ. დააკავეს

6 აშშ მოქალაქეებს ვაქცინების ბუსტერ დოზას სექტემბრიდან შესთავაზებს

„ანტივაქსერების კამპანიას ხელისუფლება აფინანსებს“

შალვა ხაჭაპურიძე: „ოპოზიციას არაფერი შეუძლია... საღამოს მემარცხენეები არიან, დილით მემარჯვენეები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბატონო შალვა, ბოლო პერიოდია სულ უფრო მეტად ისმის კითხვები, რამდენად სამართლებრივ ქვეყანაში ვცხოვრობთ? მუშაობს ჩვენი სასამართლო სისტემა? განუკითხაობა, დანაშაული, შურისძიება. ხალხს აღარ აქვს იმედი, რომ სამართალი იზეიმებს და თავადვე უსწორდება დამნაშავეს. რამდენად საშიში სიტუაციაა?

– 1995 წელს მიიღეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, დღევანდელი, რომელიც ჩვენ გვაქვს. 2000-2001 წლებში გატარდა სასამართლო რეფორმა, რომელსაც სათავეში ედგა მინდია უგრეხელიძე, ლადო ჭანტურია, მიხეილ სააკაშვილი, ადეიშვილი და ასე შემდეგ. მაშინ სააკაშვილმა იცოდა სასამართლოს ფასი და ხელს უწყობდა ამ რეფორმების გატარებას. იმ პერიოდში მე ჩავბარე სასამართლოს გამოცდები და ვიყავი სასამართლოს თავმჯდომარე. პირადადაც ბევრ საქმეს განვიხილავდი. ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარე ვიყავი და ძალიან ბევრ საქმეზე ირკვეოდა, რომ ეს დავა, სასამართლოში მოსვლამდე, კანონიერ ქურდებთან იყო ნამყოფი. თუმცა, მაშინ შეძლო სასამართლო სისტემამ და ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ის, რომ ხალხი მოტრიალდა სასამართლოსკენ და გადაივსო მაშინ სარჩელებით სასამართლოები.

– ახლა რა ხდება? ნდობა აღარ აქვს სასამართლო სისტემას?

– ახლა რა ხდება და სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ოთხჯერ და ხუთჯერ რომ იქნება მოხსენიებული მოსამართლე მურუსიძე და კიდევ სხვები და სხვები, ასეთ მოსამართლეებს რომ გამოიყვან და აცხადებ, ლიდერები არიან ჩვენი სასამართლო სისტემისო, ბუნებრივია, პირველი, დაკარგა ნდობა ხალხმა სასამართლოსადმი და მეორე, სარჩელს შეიტან სასამართლოში და 5-6 წელიწადი ვერ გამოდიხარ სასამართლოდან. უმრავი საქმეა ასეთი. დაგვიანებული მართლმსაჯულება ხომ უკვე თავისთავად უკანონობაა. 5-6 წლის მერე რომ გამოიტანს მოსამართლე გადაწყვეტილებას და იმასაც გამოიტანს იმ მოსამართლეთა კორპუსი, რომელსაც ნდობის ხარისხი ნული აქვს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ნინო გვენეტაძეს რომ გააქცევენ და ასე შემდეგ, რა თქმა უნდა, ნდობა ამნაირი სასამართლოსადმი არ არის.

– ჩამოშლილია მთლიანად ეს სისტემა?

– ასეა. თუნდაც გამოძიებას რაც შეეხება, საგამოძიებო უწყების წარმომადგენლები საერთოდ აზრზე არ არიან, არ როგორ მეტყველებენ, ან რას აკეთებენ, ამის შემხედვარემ გამოძიება საერთოდ როგორ უნდა ირწმუნო?! ჩადებების ფაქტებზე ხომ საერთოდ აღარაფერს ვამბობ. აგერ, ორი დღის წინ, რანი რიჟამაძეს, გახმაურებული საქმის გამო, ნარკოტიკი ჩაუდეს.

– ანუ რა ხდება, 90-იანებში დავბრუნდით?

– ჩვენ შევქმენით კვაზი სახელმწიფო, სადაც ყველაფერი გაუკუღმართებული ფორმებით არის წარმოდგენილი. გაუკუღმართებულია სასამართლო და რეალურად ის აღარ არის სასამართლო. სამართალდამცავი სისტემები მუშაობენ გაუნათლებელი გამოძიების დონეზე და, შესაბამისად, ვიღებთ იმას, რასაც ვიღებთ. მოქალაქე აღარ მიდის სასამართლოში, აღარ მიდის პოლიციაში, პროკურატურაში და გვაქვს ის შედეგი, რაც გვაქვს.

ამასწინათ ერთ-ერთი ჩინოვნიკი ძველმა ბიჭებმა დაიბარეს, რას ჰქვია შენ ნებართვა არ მომეციო, მოვიდა ჩემთან დამეხმარეო. ჭკუა ეყო და მიმართა ადვოკატს და ოფიციალურად რომ ჩავერთე და ოფიციალური წერილი გავუგზავნე, თუ რამე პრეტენზია გაქვთ სასამართლოში შეიტანეთ სარჩელი-თქო, ამის შემდეგ გაჩერდნენ. ანუ ინსტიტუციები არ მუშაობს. ამერიკის შეერთებულ შტატებს კავკასიაში ყველაზე დიდი ფული დახარჯული აქვს საქართველოსთვის, მათ შორის, სასამართლო სისტემაში. 22 წელი უყურა ავღანელებს, ადგა ბოლოს და ბოლოს, დაიხურა ქუდი ამერიკამ და წავიდა. ახლა რაც ხდება ავღანისტანში, კი ვხედავთ. ერთ მშვენიერ დღესაც, თუ ჩვენ არ მოვედით გონს, აქაც იგივე მოხდება. მერე ვიქცევით იმათ, რაც ვიყავით ამდენ ხანს, რუსეთის უკანა ეზოდ. ჩვენ ვერანაირი ინსტიტუციები ვერ ავაშენეთ. შედეგად ვიღებთ ამ ტრაგედიებს. ინსტიტუცია რომ გვქონოდა, თუნდაც სკოლა, 51-ე სკოლაში რაც მოხდა, ის უნდა მომხდარიყო?! ინსტიტუციები რომ გვქონოდა, ის უნდა მომხდარიყო, რაც ორი დღის წინ კახეთში მოხდა?!

– ძალიან ძძიმე ფაქტი მოხდა...

– იქამდე მივიდა საქმე, რომ ქუჩაშია კაცი გასული და გარჩევები მიდის, რასაც მოყვა ეს გაუგონარი ტრაგედია. არ ვიცი, საერთოდ სადა ვართ. განცხადების მიღება არ უნდათ და მისი წაკითხვა, საჩივარი რომ შეგაქვს. არ ვიცი, რა გვეშველება. ოპოზიციას შეხედავ და ხელისუფლებაზე უარეს დღეში არიან. ჯერ ხომ ამდენი ხანი არ შევიდნენ პარლამენტში, მთელი საქართველო გადაგვაყოლეს ამ შევდივარ არ შევდივარს. რომ შევიდნენ, ვიფიქრე, რაღაცას გააკეთებენ, ერთი საკანონმდებლო ინიციატივითაც არ არის ოპოზიცია შესული. ხვდებით, სადა ვართ?! საგამოძიებო კომისია რომ შეიქმნა იმის გასარკვევად, არჩევნები გაყალბდა თუ არ გაყალბდა, იმაშიც კი არ მიიღეს მონაწილეობა. საერთოდ რა უნდოდათ, რისთვის შედიოდნენ? ესენი ან იდიოტები არიან, ან ამ ხელისუფლებასთან გარიგებულები არიან. სხვა აზრი აქ არ არსებობს. გიგა ბოკერია და ხატია დეკანოიძე ჟურნალისტებზე ხშირად არიან ტელევიზორში. ტელევიზიებში რომ დასხდებიან და იქიდან ლაპარაკობენ, რა ჰგონიათ, მათი ნათქვამი ჩვენთვის ჭეშმარიტებაა?! ხალხთან მიდით, ხალხთან ილაპარაკეთ, პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შედით, რისთვის ხარ ოპოზიცია, რას მიკეთებ აბა?!

– საზოგადოებაშიც ძალიან პესიმისტური განწყობაა. რა ეშველება ამ სიტუაციას?

– პესიმისტური განწყობა კი არა, ხალხო, კატასტროფის წინაშე ვდგავართ. ჩემს ამერიკელ კოლეგებთან მქონდა ამასწინათ შეხვედრა და იცი რა მითხრეს? კიდევ კარგი, ბიძინა ივანიშვილი მაინც გყავთ და ამ ხელისუფლებას ცოტას ის იმორჩილებს, თორემ მერე გენახათ, რაც მოხდებოდაო. ცოტა შემაკავებელი ფაქტორია, თორემ შესაძლოა ავღანეთზე უარეს მდგომარეობაში ვიყოთ. ალბათ ერთ კვირაში ყველა მეზობელთან ომი ექნებათ გამოცხადებული. რაღაცა მოვლენა რომ იწყება, ის სრულდება, ეს ბუნების კანონია. 9 წელი ისინი იყვნენ, ახლა 9 წელი ესენი არიან და ამ დროის განმავლობაში ვერ მოხერხდა, რომ ერთი ჯანსაღი ძალა გაზრდილიყო, ჩამოყალიბებულიყო, გამოსულიყო და ეთქვას, ჩვენ ვაცხადებთ პრეტენზიას ქვეყნის მართვაზე. ან რა ლოზუნგები აქვთ, ან რა საარჩევნო კამპანია, საერთოდ რა უნდათ, იცის ვინმემ?! რითი მიდიან ადგილობრივ არჩევნებზე, საერთოდ საარჩევნო კოდექსი წაკითხული აქვთ?! ამ საარჩევნო კოდექსით წარმოუდგენელია არჩევნების მოგება. ხელისუფლებას რაც უნდა, როგორც უნდა, იმდენს დაწერს. ამას რას ვუყურებ, ოპოზიცია პარტიულ სიებს ვერ ადგენს და მაჟორიტარ კანდიდატებს ვერ პოულობს. ვინც პარლამენტში ყავთ, ისევ ისინი წარადგინეს საკრებულოშიც და მერის კანდიდატად. საღამოს მემარცხენეები არიან, დილით მემარჯვენეები. სრული მარაზმია! ადმინისტრაციული რესურსი რომ გააჩნია, ის პარტია მოგიგებს არჩევნებს, აბა რას გიზამს. აქ ვადამდელი არჩევნები იქნება გარდაუვალი!

– ასე ფიქრობთ?

– ასე იქნება. იმიტომ კი არა, რომ ოპოზიცია შეძლებს ამას, არა, თვითონ ხალხიდან წამოვა ეს ყველაფერი. ნახავთ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდება. ყოველდღე რომ 50 ადამიანი უკვდებათ, ეს ასე მარტივად ჩაივლის?! სხვის ჩუქებაზე რომ ვართ სულ დამოკიდებული, პირველი ვაქცინა იყო და გვაჩუქეს, მეორე იყო და გვაჩუქეს და მესამე ჯერზეც გვაჩუქეს. რატომ არის, რომ არ კეტავენ ქვეყანა? დიდმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ჩაკეტვები და მიდის მასობრივი ვაქცინაცია. არც კეტავენ და არც ვაქცინას ყიდულობენ. საარჩევნოდ ფულია საჭირო და ვაქცინაზე ხომ არ დახარჯავენ. დააკვირდით, როგორი პიარია ამ ანტივაქსერების.

– რისი თქმა გინდათ?

– იმის, რომ სახელმწიფო უწყობს ხელს. აბა ვინმეს წარმოუდგენია ასე ორგანიზებული კამპანია?! ქართველი ანტივაქსერები ასე ორგანიზებულად მუშაობენ? კლიპები აქვთ გაკეთებული და ნახეთ, რა ხარისხის განცხადებები გამოდის. უნდა იყვირონ, არ გვინდა ვაქცინაო, აბა ყველამ ერთად რომ იყვიროს, შემოგვიტანეთ ვაქცინა ავიცრებითო, საიდან მოიტანენ, ფულის გადახდა და ყიდვა ამათ არ უნდათ. ასე უფრო აწყობთ, რაც ნაკლები აიცრება. ფული არ არის ბიუჯეტში და ან როგორ იყიდიან? არ ვიცი, ასე ქვეყნის მართვა თუ შეიძლება, როგორც ესენი მართავენ! აქ ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი იქნება და ამას ოპოზიცია კი არა, ეს გამწარებული ხალხი შეძლებს. ოპოზიცია არაფრის მიმღწევი არაა. ხალხი გამოვა ქუჩაში, ისეთი უმართავი სიტუაცია იქნება, რომ ერთადერთი გამოსავალი იქნება ვადამდელი არჩევნები.

მიხეილ სააკაშვილი: „მართლა სრული ფარჩაკები უნდა ვიყოთ, რომ ესენი ვერ გავყაროთ“

„მართლა სრული ფარჩაკები უნდა ვიყოთ, რომ ესენი ვერ გავყაროთ“ – ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ფეისბუქში წერს და გონიოსთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება.

მისივე თქმით, გონიოში წარადგინეს ზუსტად ის პროექტი, რაც მის დროს – 2010 წელს ჰქონდათ და რომელიც 2014 წელს უნდა დამთავრებულიყო.

„ერთადერთი ამოიღეს ხიდი, რომ ბოლომდე იდენტური არ ყოფილიყო.

რენდერის გაკეთებაც ვერ შეძლეს, ამ „დროშა ვერ დაკიდენ“ „სასტავმა“.

რა საცოდავები და დაშინებულები არიან, მართლა სრული ფარჩაკები უნდა ვიყოთ, რომ ესენი ვერ გავყაროთ.

ოღონდ დაავიწყდათ ასევე ინდუსტრიული ზონა ხელვაჩაურის, სადაც უნდა ყოფილიყო 100 ახალი საწარმო და ის ხიდიც ულამაზესი იყო, რომელიც ჩვენ მაშინ დავაპროექტეთ და უკვე ვიწყებდით მშენებლობას. ბათუმის აეროპორტი გადადიოდა სოფელ მერიაში და ბათუმის აეროპორტიც უერთდებოდა გონიოს ამ ზონას, სადაც იქნებოდა არა რუსების აგარაკები, როგორც ესენი აპირებენ, არამედ ფინანსური დიდი ზონა, სადაც ქართველები ძალიან მაღალ ხელფასებს მიიღებდნენ და ბევრ ფულს გააკეთებდნენ – მაგრამ ივანიშვილის საქართველოში ბევრი ფულის გაკეთება სხვისთვის არ შეიძლება, რადგან ეს საფრთხეს უქმნის ივანიშვილს“ – წერს ფეისბუქში მიხეილ სააკაშვილი.

„საქართველომ თალიბებისაგან საფრთხე უკვე მიიღო“

ვახტანგ მაისაია: „ავღანელები ძალიან თავმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ერია. ისინი არც ერთ დამპყრობელს და მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენელს არ ემსახურებიან“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, თქვენი პროგნოზი, ავღანეთში თალიბების შესაძლო გამარჯვებასთან დაკავშირებით, უკვე გამართლდა.

– დიახ, თალიბებმა მთლიანად დაიკავეს ავღანეთი. პრეზიდენტი აშრაფ განი ტაჯიკეთში გაფრინდა და სასახლეში შევიდა ბარადაი, რომელმაც ავღანეთის ისლამური საემიროს აღდგენა გამოაცხადა.

– ამერიკამ რატომ დაუშვა ავღანეთში თალიბების გამარჯვება?

– ამერიკელებს 83 მილიარდი დოლარი წყალში გადაეყარათ. ფაქტობრივად, ერთი ტრილიონი დოლარი მათ ავღანეთში დახარჯეს. მთელი თანამედროვე შეიარაღება თალიბებს ჩაუვარდათ ხელში. ახლა, მგონი, ამერიკელები ცდილობენ, სტრატეგიული ბომბდამშენებით გაანადგურონ ის სამხედრო ტექნიკა, რომელიც კუნდუღლის, ბაგრამისა და ყანდაარის საჰაერო ბაზებზეა. ეს არის სამხედრო ტექნიკა, ავიაცია, ამერიკული ჰამერები, ამერიკული ჯავშანტექნიკა. ნაწილი ამერიკული შეიარაღებისა თალიბებს უფასოდ ერგოთ.

300 ათასი ადამიანის შეიარაღებაზეა საუბარი. ავღანეთის არმია 300 ათას ადამიანს შეადგენდა. თალიბანის ეგიდით 100 ათასი ადამიანი მოქმედებდა. ახლა მეტი იქნება, რადგან თალიბანი აიყვანს იმ პროფესიონალებს, რომლებიც შეუერთდებიან თალიბანის შეიარაღებულ ძალებს, როგორც თალიბებმა თავის დროზე გამოიყენეს საბჭოთა კავშირის მიერ მომზადებული კადრები და კომპარტიის სამხედროები, რომლებიც მრავლად იყვნენ წარმოდგენილი თალიბანის პირველ თაობაში 1991-2000-იან წლებში.

ახლა თალიბები თავიანთ რიგებს გააძლიერებენ უკვე ამერიკელი სამხედროების მიერ გაწვრთნილი შენაერთებით, რომლებიც თალიბანის შეიარაღებული ძალების ნაწილი გახდა.

– საინტერესოა, რომ თალიბებსა და არსებულ ხელისუფლებას შორის დაპირისპირება არ იყო.

– თალიბებს ისინი მარიონეტული ხელისუფლების წევრებად მიაჩნიათ. წინააღმდეგობა რომ ყოფილიყო, მაშინ მათ დახვრეტა არ ასცდებოდათ. საბჭოთა კავშირის გამოსვლის შემდეგ, თალიბებმა დახვრიტეს ავღანელი კომუნისტური პარტიის ლიდერი ნაჯიბულა. ნაჯიბულას ხელი არ ახლეს მისმა მტრებმა, როგორებიც იყვნენ ჰეკმატიარი, ისმაილ ხანი, მოჯადენინი, ახმად შახ მასუდი.

პეშავარის შვიდეულმა დაინდო ნაჯიბულა, რომელიც 4 წელი თავს აფარებდა გაეროს მისიის შენობას. როგორც კი თალიბებმა დაიკავეს ქაბული, პირველი, რაც გააკეთეს, გაეროს მისიის შენობაში შეიჭრნენ, ნაჯიბულა გამოიყვანეს და ჩამოახრჩვეს. თალიბები უფრო მეტად სასტიკები არიან, ვიდრე ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლები.

– ამერიკელებმა დესანტი გადასხესო. თალიბების საპასუხოდ რას მოიმოქმედებენ?

– არაფერს. ამერიკელებმა საჰაერო დესანტი გადასხეს, რომ დაეცვათ დიპლომატიური წარმომადგენლობები, ავღანეთში მომუშავე ამერიკელი სამხედროები (რომლებიც ამერიკის ეროვნულ არმიას წვრთნიდნენ) და ამერიკის მოქალაქეები. ასევე მათ მისიაში შედიოდა ნატოს წევრი სახელმწიფოების დიპლომატიური მისიების წარმომადგენლების დაცვა. ისინი უკვე გაყვანილი არიან უსაფრთხო ზონაში.

ამერიკელები ჩასული იყვნენ იმისათვის, რომ დაეცვათ მწვანე ზონა, სადაც იმყოფებოდნენ უცხოეთის დიპლომატური წარმომადგენლები, დაეცვათ ქაბულის აეროპორტი და ქაბულში წესრიგი დაეცვათ. მაგრამ ისე სწრაფად მოხდა თალიბების მიერ ავღანეთის პროვინციებისა და ქაბულის დაკავება, რომ დაცვის ფუნქციამ აზრი დაკარგა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მამუკა მდინარაძე: „ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკიდან უნდა გავიდეს“

– ნაციონალური მოძრაობა ნელ-ნელა პოლიტიკიდან უნდა გავიდეს და მისი ადგილი საღმა, პროგრესულმა ძალამ დაიჭიროს.

ეს განცხადება გუშინ, 18 აგვისტოს, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ გააკეთა.

მდინარაძის შეფასებით, ნაციონალური მოძრაობა ჯერ კიდევ მთავარი ოპოზიციური პარტიაა და არის ქვეყნის განვითარების მთავარი შემაფერხებელი.

– თუკი ვთანხმდებით, რომ ამ ქვეყანას დესტრუქცია, საბოტაჟის ენით საუბარი, ქაოსისა და არეულობების მცდელობები აზიანებს, მაშინ ასეთი პოლიტიკური ძალები უნდა დასრულდეს. ეს საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს.

ჩვენ საზოგადოებას მოვუწოდებთ, რომ თუკი პოლიტიკური ძალა არის დესტრუქციული, მათ მხარი არ დაუჭირონ. ადამიანები, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას მხარს უჭერენ, ამაში ბოლომდე კარგად უნდა გაერკვნენ, – განუცხადა ჟურნალისტებს მამუკა მდინარაძემ.

მისივე თქმით, საქართველოში უდანაშაულო ადამიანებს არ აკავებენ.

– არარელევანტურია ვინმეს უფუნქციოდ დარჩენილი პარტიის დევნა უნდოდეს, – ასე გამოეხმაურა მამუკა მდინარაძე პარტია „საქართველოსთვის“ განცხადებას, მათი მხარდამჭერის აკაკი ბართაიას იარაღის ჩადების გზით დაკავების შესახებ.

მდინარაძე იმასაც ამბობს, რომ გიორგი გახარიასა და მისი პარტიის პიარით ნაციონალური მოძრაობის კონტროლირებადი ტელევიზიებია დაკავებული.

მდინარაძის თქმით, გახარიას პარტიის დანიშნულება „ქართული ოცნებისთვის“ ამომრჩეველთა ხმების წართმევა იყო, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ანულირებულია შეთანხმება 43%-იანი დათქმის შესახებ, გახარიას პარტიამ მნიშვნელობა დაკარგა.

– როდესაც ეს ხალხი ასეთ განცხადებებს აკეთებს, სიტუაციით სარგებლობას ცდილობენ. ცდილობენ აქტუალური იყვნენ. მათ აქტუალურობა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მიერ კონტროლირებად მედიაში აქვთ. ამ ადამიანს ნაციონალური მოძრაობის ტელევიზიები აპიარებენ და ამ ქეისსაც, ისევე, როგორც სხვა ქეისებს, „ნაციონალური მოძრაობა იყენებს“ – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

პარტიის „საქართველოსთვის“ განცხადებით, შანტაჟის, დამუქრების და სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, „მმართველმა პარტიამ დაიწყო დაჭერები უღირსი მეთოდის – ჩადების გამოყენებით“.

როგორც დეპუტატ ანა ბუჩუკურის მიერ პარლამენტში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, დაკავებულია პარტიის მხარდამჭერი აკაკი ბართაია, რომელსაც, ბუჩუკურის ინფორმაციით, ჯერ ახლობლების მეშვეობით შეუთვალეს, რომ აქტიური პოლიტიკური საქმიანობა შეეწყვიტა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ დაჭერით, რამდენიმე დღეში კი, მას იარაღი ავტომანქანის საბარგულში ჩაუდეს.

როგორც ბუჩუკურმა აღნიშნა, ბართაია ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის მსხვერპლი, ბუტა რობაქიძის საქმის ერთ-ერთი დაზარალებულია, რაც სტრასბურის სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილებით დაადასტურა.

„კუჭავაც ძალიან მაგარი ნაციონალი იყო“

მურმან დუმბაძე: „ხელისუფლება აღწერებს აკეთებს და იმ ოჯახებს, რომლებსაც პრობლემები აქვთ, ფულით უგვარებენ. „ოცნება“ კანონით აკრძალული ილეთით ცდილობს გამარჯვების მიღწევას“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, „ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“-ს ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



– ბატონო მურმან, „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო კამპანიას ისე აგრძელებს, რომ არც კი იმჩნევს ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ ვითარებას. ამ ფონზე ოპოზიცია არსად ჩანს. რატომ?

– საარჩევნო კამპანიაზე პანდემია მოქმედებს. სერიოზულად მოქმედებს. ვერ შეუღებ მოქალაქეს კარს და საარჩევნო აგიტაციას ვერ განევ იზოლაციის პირობებში. ეს არ გამოდის.

– „ქართული ოცნებისთვის“ რომ არ არის წინაღობა?

– ოპოზიციისთვის შეიძლება აღმოჩნდეს. პრაქტიკულად მოქალაქესა და ხელისუფლებას შორის პირდაპირ ვაჭრობაა გაჩაღებული. ყველამ ყველაფერი იცის. პირდაპირ გეტყვით, ხელისუფლება აღწერებს აკეთებს და იმ ოჯახებს, რომლებსაც პრობლემები აქვთ, ფულით უგვარებენ. „ოცნება“ კანონით აკრძალული ილეთით ცდილობს გამარჯვების მიღწევას. მაღალი თანამდებობის პირები მთელ აჭარას მოდებულნი არიან და მხარდამჭერების სიებს აგროვებენ. რას არ პირდებიან, ოღონდ ხმა მისცენ. როგორც ჩანს, ირაკლი ღარიბაშვილი აპირებს თავისი საათების კოლექციიდან, ერთი მექანიზმის ფასად, 500 ოჯახი დააკმაყოფილოს.

„ქართული ოცნება“ კარგად ხედავს, რომ მისი საქმე წასულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა ხელისუფლება და მათ შორის „ოცნებაც“ ფიქრობს, რომ კიდევ ცხრა წელი გაძლებს. თუმცა, პოლიტიკის კანონზომიერებიდან გამომდინარე მოხდება ის, რაც 2012 წლის 1 ოქტომბერს მოხდა. ამაში ძალიან ღრმად ვარ დარწმუნებული.

– დაახლოებით რამდენ პროცენტს ვარაუდობთ? 2 ოქტომბერს, რა პროცენტი ეწერება „ქართული ოცნების“ გასწვრივ?

– 35% ფარგლებში მერყეობს მათი პოზიციები. საჯარო მოხელეებს დამატებული კრიმინალი. სულ ეს არის „ქართული ოცნების“ ხმათა ყულაბა. მეტის დაწერას, უბრალოდ, ვერ შეძლებს. 30%-იანი გაყალბება შეუძლებელია. ეს იქნება ის ჭერი, რომელსაც ის 2 ოქტომბერს დადებს.

მე, 2012 წელს ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ დავდიოდი. ადამიანები მეუბნებოდნენ, მიხეილ სააკაშვილის დამარცხება შეუძლებელია, იმდენად იყო მათში გამჯდარი დაუმარცხებლობის მითი. ასეა დღესაც, ივანიშვილის დაუმარცხებლობის მითია ხალხში, მაგრამ როგორც 2012 წლის 1 ოქტომბერს დავამარცხეთ სააკაშვილი, ისე დავამარცხებთ 2 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილს და მის ხელისუფლებას.

– სააკაშვილი ამბობს, სრული ფარჩაკები უნდა ვიყოთ, რომ ესენი ვერ გავყაროთო. ელოდებით?

– დღეს ამ კითხვაზე არ მაქვს პასუხი. არჩევნებისთვის ჩამოვა თუ არ ჩამოვა, ვერ გეტყვით. თუმცა, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში იქნება და იქნება ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა. სააკაშვილი მაღალი კლასის პოლიტიკოსია და სიმართლე გითხრათ, მოხარული ვარ, რომ მის დამარცხებაში ჩემი წვლილიც არის. სააკაშვილს ცხრა წელი ვებრძოდი. მე როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას ვებრძოდი, ღარიბაშვილი მამიან-ნათესავებიანად მის ხელისუფლებაში იყო.

– ირაკლი კობახიძე არ ჩანს, წინასაარჩევნო კამპანიაში არ არის აქტიურად ჩართული.

– სიმართლე გითხრათ, დღესაც კი არ ვიცი, ირაკლი კობახიძე 2012 წელს საერთოდ სად იყო?! მე, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობას“ ვებრძოდი, სად იყო კობახიძე?! პარლამენტის თავმჯდომარემ, კახა კუჭავამ ჩაანაცვლა. ღარიბაშვილს ახლა კობახიძის ნაცვლად კუჭავა ახლავს. როგორც ჩანს, ფიქრობენ, კუჭავა უფრო „დავარცხნილია“, მაგრამ კუჭავაც ძალიან მაგარი ნაციონალი იყო.

– ინფორმაცია გაქვთ?

– ლევან ვარშალომიძის უერთგულესი ძმაკაცი იყო. იმ სისხლიანი რეჟიმის თანამონაწილე გამოდის ლევან ვარშალომიძეც და როგორ მეგობრობდა?! მაშინ რატომ არაფერს არ ეუბნებოდა?! მე ვეუბნებოდი ლევანს, სისხლიანი რეჟიმის ნაწილი ხარ. დღეს სისხლიანი რეჟიმი არის ეს ხელისუფლება. ნახეთ, რა ხდება წინანდლის ტყეში. სამწუხაროდ, ევროკავშირისა და ნატოს წევრობის ნაცვლად, ჩვენ ჯაბა იოსელიანის სახელმწიფო მივიღეთ. თუ უნდა ხალხს ასეთი საქართველო, დაე, გაიმარჯვოს 2 ოქტომბერს „ოცნებამ“ თუ არადა, კოალიციური მმართველობა უნდა მოვიდეს.

თუ ივანიშვილი გაჯიუტდება, როგორც თავის დროზე, „ვარდების რევოლუციის“ წინ გაჯიუტდა შევარდნაძე, ივანიშვილსაც იგივე ბედი ელის. რას ითხოვდა მაშინ ოპოზიცია: ვითხოვდით, არჩევნები არ გააყალბო! ჩვენ ვეუბნებოდით, არ გააყალბო არჩევნები, რასაც მიიღებ, ის დაიწერე. ბარი-ბარში ვიყავით, თითქმის ერთნაირი მაჩვენებლები გვქონდა, მაგრამ შევარდნაძემ არჩევნები გააყალბა და მოხდა ის, რაც მოხდა. შევარდნაძეს სახლში წასვლა მოუწია ნაციონალურმა მოძრაობამ და ოპოზიციურმა კოალიციამ კი გაიმარჯვა. სააკაშვილმა 90% აიღო და პრეზიდენტი გახდა. ეს არ ხდებოდა საუკუნეების წინ. ძალიან ახლო პოლიტიკური წარსულია. ჩვენი ქვეყნის ეს უახლესი ისტორია ყველას კარგად უნდა ახსოვდეს.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

„საქართველომ თალიბებისაგან საფრთხე უკვე მიიღო“

– თალიბები ავღანეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით ხომ არ მოქმედებდნენ, რომელთანაც ამერიკელები თანამშრომლობდნენ?

– არა. უბრალოდ აშრაფ განის ხელისუფლება კორუმპირებული, ნეპოტიზირებული და ნაკლებად მოტივირებული იყო, რომ კარგი საქმეები გაეკეთებინა. ამან დიდი როლი ითამაშა. ავღანეთის ეროვნული არმიის ჯარისკაცს ორჯერ ნაკლებ თანხას აძლევდნენ, ვიდრე თალიბები საკუთარ სამხედრო მოსამსახურეებს უხდიდნენ.

ავღანელები ძალიან თავმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ერია. ისინი არც ერთ დამპყრობელს და მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენელს არ ემსახურებიან. იმ ეროვნული არმიის მოსამსახურისათვის აშრაფ განი მაინც ოკუპანტის წარმომადგენელი იყო, არ აქვს მნიშვნელობა, ოკუპანტი რუსია, ბრიტანელი თუ ამერიკელი. ისინი ემსახურებოდნენ ოკუპანტებს.

– თქვენ პროგნოზირებდით, რომ თალიბების მიერ ავღანეთის დაკავება წარმოშობდა საფრთხეებს, რომელიც ჩვენც შეგვეხებოდა. ლტოლვილთა ნაკადი იქნება?

– ზოგიერთ ქალაქში მოსახლეობა თალიბებს დიდი სიხარულით შეხვდა. მაგალითად, ჰერათში მოსახლეობამ თალიბური არმიისა და სპეცსამსახურის წარმომადგენლებს ქვები დაუშინა. ზოგიერთი ადგილებიდან ლტოლვილთა ნაკადები წამოვიდა. ჯერჯერობით, თალიბებმა საკმაოდ სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს. მათ დაიკავეს ის ტერიტორიებიც კი, რომელსაც მანამდე ვერც მიეკარებოდნენ. ეს არის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციები, სადაც თალიბების ჭაჭანება არ იყო.

ახლა უკვე მათ ის პროვინციებიც დაიკავეს, სადაც ეთნიკური უმცირესობები, ტაჯიკები და უზბეკები ცხოვრობენ. ირანთან მოსაზღვრე პროვინციებში ხაზარები ცხოვრობდნენ, ანუ ის ეთნიკური უმცირესობა, რომლებიც პუშტუნების გავლენის ქვეშ არ არიან. პუშტუნების წარმომადგენელია თალიბანი.

2001 წელს იყო ძალთა ბალანსი – პუშტუნებმა დაიკავეს პუშტუნებით დასახლებული პროვინციები, მაგრამ ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მოსახლეობა ვერ დაიქვემდებარეს. ახლა თალიბები მთელ ქვეყანას აკონტროლებენ. თუმცა, როგორ პოლიტიკას განახორციელებენ, არავინ იცის. თუ დაიწყეს ტერორი, ისლამური წესების დამკვიდრება იძულების წესით და რეპრესიები, მოსახლეობის მიერ საცხოვრებელი ადგილის დატოვებასა და მეზობელ სახელმწიფოებში მათ გადაადგილებას გამოიწვევს.

– შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ პროცესიდან გამომდინარე საქართველოს საფრთხეები ექმნება?

– საქართველომ თალიბებისგან საფრთხე უკვე მიიღო. 2015 წელს ნარკოტრაფიკი რომ განხორციელდა, თხევადი ჰეროინი რომ მოხვდა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც მოძრაობა თალიბანის ტვირთი იყო. მაშინ პროგნოზი გავაკეთე, რომ ეს იყო თალიბანის ტვირთი, რაც დადასტურდა. ჭიკაიძემ დაადასტურა. მართალია ჭიკაიძეს შეეშალა, თალიბანი კაცი ეგონა და არა მოძრაობა.

– ჯიჰადისტური ჯგუფები ახლაც გააქტიურდებიან?

– აღბათ გააქტიურდებიან, რადგან ისლამური სახალიფო ჯერ კიდევ მიძინებულია და ის აუცილებლად გააქტიურდება, გააქტიურდება აღ ქაიდა. თალიბანის ერთ-ერთი ლიდერის მულა აღი ბარადაის მოადგილეა სარაჯან ჰაკანი, რომელიც ცნობილი ნარკობარონია. მას ჰქვია ჰაკანის დაჯგუფება, რომელიც წარმოადგენს გილზაის კლანის ყველაზე გავლენიან წარმომადგენელს. ეს კლანი საკმაოდ სერიოზულ შემადგენლობას აერთიანებს, ამ კლანში 15 ათასი ადამიანია გაერთიანებული. ისინი აკონტროლებენ ავღანეთის ოპიუმის წარმოების დაახლოებით 25-30%-ს.

– ოპიუმს თვითონ ავღანელები თუ მოიხმარენ?

– ოპიუმს ავღანელები ტრადიციული კუთხით, გარკვეულწილად, მოიხმარენ. ოპიუმის ნაყენიც კი არსებობს, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ოპიუმს ავღანელები მოიხმარენ აბსოლუტურად რაციონალურად და სწორი კუთხით. ნამდვილი, რეალური ოპიუმი იმდენად საშიში არ არის, ოპიუმში ქიმიური მინარევები იწვევს ტოქსიკურ მოწამვლას და ჰალუცინაციებს. ავღანელები ოპიუმს ძირითადად საექსპორტოდ ამზადებენ. როგორც ჩვენთან ღვინო არის საექსპორტი, ისე ავღანელებისთვის ოპიუმია საექსპორტო საქონელი. მთელი მოსახლეობის დაახლოებით 70% ოპიუმზე მუშაობს.

– ამ მიმართულებით საქართველოსთან დაკავშირებით რა საშიშროება შეიძლება იყოს?

– საქართველოსთან დაკავშირებით ნარკოტრანზიტის გაზრდის საშიშროებაა. ასევე, შეიძლება მოხდეს ჯიჰადისტური ქსელების გაძლიერება ცენტრალურ აზიასა და კავკასიის რეგიონში, რადგან აქ არის ჯგუფი „აღმოსავლეთი კავკასია ცენტრალური აზია“. ამ სამკუთხედში შეიძლება გაიზარდოს ჯიჰადისტური წინააღმდეგობის ჯგუფები. ტერორისტულმა ჯიხადისტურმა ორგანიზაციებმა შეიძლება გააქტიურება დაიწყონ და თავიანთი საქმიანობის წარმოჩენისთვის თალიბანი ერთ-ერთ ჰაბად გამოიყენონ.

თალიბებს საკმაოდ მძლავრი იდეოლოგია აქვთ. არ არის გამორიცხული, მათი ფილიალები გაიხსნას ტაჯიკეთსა და უზბეკეთში. ამან კი ხელი შეუწყოს იქ არსებული კორუმპირებული ავტოკრატიული რეჟიმების სწრაფ დაცემას.

თურქმენეთში უკვე გაჩნდა თურქმენული თალიბანი. თურქმენეთის პრეზიდენტის ავტოკრატიული რეჟიმის პირობებში, შეიძლება მოხდეს ჯიჰადისტური, ისლამისტური ქსელების გაცოცხლება-განვითარება და ამ ქვეყნებში არსებულ რეჟიმებს რეალური საფრთხე შეექმნათ.

– ჩვენ როგორ შეიძლება ავიცილოთ თავიდან ჯიჰადისტური ქსელების გააქტიურება საქართველოში?

– დასავლეთის სახელმწიფოებთან მჭიდრო კონტაქტით და თანამშრომლობით ანტიტერორისტული მიმართულებით. ხელისუფლებას შევთავაზე კიდეც, პრეზიდენტის დონეზე შექმნილიყო ანტიტერორისტული კოორდინაციის სამუშაო ჯგუფი. პრეზიდენტსა და პრემიერს დანიშნოდათ მრჩეველი ამ საკითხში. სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ კონტრტერორისტულ და ანტიტერორისტულ საქმიანობას. ამით გავაძლიეროთ ჩვენი ეს მიმართულება.

– ჩვენი უსაფრთხოების სამსახურები მზად არიან იმისათვის, რომ ის საფრთხეები ავიცილოთ, რაც შეიძლება წარმოშვას თალიბების გამარჯვებამ?

– იმედია მზად არიან. რა გითხრათ, ჩვენი უსაფრთხოების სამსახურიდან ისე ხდება საიდუმლო ინფორმაციის გადინება, ჩვენი საიდუმლო სამსახურებიდან ისე ხვდება საიდუმლო ინფორმაციები პოლიტიზირებულ მედიასაშუალებებში, რომ თურმე მთელი სეიფები აქვთ გავსებული და ტონობით საიდუმლო ინფორმაციაა გატანილი.

– უსაფრთხოების სამსახური ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ამის გამო გამოძიებაა დაწყებული.

– ბაში-აჩუკში არის ერთი კარგი რაღაც ნათქვამი: ახლა გინდ შეიტანეთ და გინდ გამოიტანეთ თქვენი ფალავანიო. ფალავანი ბეჭებზეა დადებული. ეს საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვა კი არა, დამბის გარღვევის შედეგივითაა. ოპერატიული მიყურადების ინფორმაციის წარმოჩენა სისხლის სამართლის დანაშაულია. ჩემს საქმეშიც არის, ჩემზე 6-თვიანი დაკვირვების აუდიო მონაცემები (ამას ზეტები ჰქვია).

მართალია კონტრდაზვერვამ ეს ზეტები ჩემ წინააღმდეგ ვერ გამოიყენა იმის გამო, რომ არაფერი იყო ისეთი, რომელიც ჩემს დანაშაულზე მიუთითებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ზეტებს გრიფით საიდუმლო გააჩნიათ. მე რომ გითხრათ იმ ზეტების შინაარსი, მაშინ სახელმწიფო საიდუმლოებას გავთქვამ. ისე, იქ საინტერესო ადამიანებიც არიან, ვისაც სააკაშვილის რეჟიმი უსმენდა.

ეს ზეტები ტონობით მიუვიდა გვარამიას, რომელმაც წაიკითხა და მისი შინაარსის დემონსტრირება მოახდინა. ამით უსაფრთხოების სამსახურს იმიჯი ელახება. ასეთი იმიჯშელახული სახელმწიფო სტრუქტურა როგორ დაიცავს ქვეყანას ასიმეტრიული საფრთხეებისაგან, რომელიც შეიძლება წამოვიდეს თალიბანისგან.

„საარჩევნო სისტემა კორონავირუსივითაა, რომელსაც ყველაფერს აბრალებენ“

ანზორ აბრალავა: „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზე გავა. ეს მოხდება ოპოზიციის სისუსტის გამო“

მარიამ მჭედლიშვილი

აზიის რეგიონსა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.

– დავიწყოთ ავღანეთის მოვლენებით. უცხოელი ექსპერტები მოელიან, რომ თალიბების რეჟიმს ლეგიტიმურად აღიარებს აზიის რამდენიმე სახელმწიფო. მათ შორის, ჩინეთი, რუსეთი, ირანი და თურქეთი. მანამდე გაეროს უშიშროების საბჭომ ტერორისტული ორგანიზაციების ნუსხიდან უნდა ამოიღოს მოძრაობა „თალიბანი“. თქვენ რას ვარაუდობთ?

– არაფერი არაა გამორიცხული. ახლა ვკითხულობ მოსაზრებებს, რომ თურმე, ის, რაც „თალიბანმა“ მოაწყო, არ იყო მოსალოდნელი. როგორ არ იყო! არ იცოდნენ, რომ როცა ამერიკული ჯარი სასწრაფო წესით დატოვებდა ავღანეთს, „თალიბანი“ დაიკავებდა ყველაფერს და აიღებდა ქაბულს?! სუსტი დაზვერვა ჰყოლია აშშ-ს.

– იქნებ, ამ მოსაზრებებს სხვები ავრცელებენ, ამერიკულმა დაზვერვამ კი ყველაფერი იცოდა?

– თუ იცოდნენ, რატომ შეატოვეს „თალიბანს“ სამოქალაქო პირები? მათ შორის, ქალები, ბავშვები?! თუ გამოდიოდნენ, ჯერ ეწარმოებინათ ხანგრძლივი მოლაპარაკებები „თალიბანთან“, მოეხსნათ მისთვის ტერორისტული სტატუსი და შემდეგ ნელ-ნელა გამოეყვანათ ჯარი! ქალებისა და ბავშვების სიცოცხლეს რომ საფრთხე შეექმნათ, ესაა მოკავშირეობა? ხალხი რომ სახურავებიდან გადმოჰყავთ, ესაა ნორმალური მდგომარეობა?!

– ამოიღებენ „თალიბანს“ ტერორისტული ორგანიზაციების ნუსხიდან?

– ორივე ვარიანტია განსახილველი. თუ მოუხსნიან ამ სტატუსს, თალიბანი ჩვეულებრივ

„აშშ-ს ავღანეთში ხალხი არ უნდა მიეტოვებინა“

ხელისუფლებად ჩაითვლება. არ მოუხსნიან და ის მაინც გააგრძელებს თავის საქმიანობას. მსოფლიოში არიან სახელმწიფოები, რომელთა ხელისუფლებას სხვები არ ცნობენ, აკრიტიკებენ, ისინი კი თავისას აგრძელებენ. მახსენდება საბჭოთა კავშირის შესვლა ავღანეთში და მერე იქიდან გამოსვლა. ეს გადაწყვეტილებები გაუაზრებელი იყო. აშშ 20 წლის წინ შევიდა ავღანეთში. ადრე იქ მონარქია იყო, შემდეგ ერთმანეთს ცვლიდნენ პრეზიდენტები. 50 წელიწადია, ავღანეთში ნორმალური მდგომარეობა არ ყოფილა. ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის საქციელი ალოგიკურია.

– ფიქრობთ, რომ ჯერ სამოქალაქო კონტინგენტი უნდა დაეცვათ ან გამოეყვანათ და შემდეგ გამოსულიყვნენ სამხედროები?

– რასაკვირველია. სახელმწიფოს ყველა გადაწყვეტილება, ნებისმიერი ტაქტიკა და სტრატეგია უნდა იყოს კარგად გააზრებული, განჭვრეტილი და პასუხისმგებლიანი. აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენს ამ გადაწყვეტილების გამო საკუთარ ქვეყანაშიც მწვავედ აკრიტიკებენ. მეც კრიტიკოსების რიგში ვარ. აშშ ჩვენი პარტნიორი და მოკავშირეა. აშშ მონაწილეობს ჩვენი პრობლემების გადაჭრაში. ახლა უკვე არ ვიცი, უნდა მივენდოთ თუ არა ასეთ ადმინისტრაციას?!

– გააზრებული გადაწყვეტილებების აუცილებლობას საქართველოს ხელისუფლებასაც ურჩევთ ხოლმე. ურთულესი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა გვაქვს. ამაში ხელისუფლების ბრალი არ არის?

– მარტო ხელისუფლებას ნუ დავაბრალებთ. ჯანდაცვა ისეთი სფეროა, სადაც აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საზოგადოების ერთიანობა. სად არის ჩვენი სამოქალაქო პასუხისმგებლობა? როცა ყოველ ნაბიჯზე სხვის იმედსა და კმაყოფაზე ხარ, ესაა პატერნალიზმი. სახელმწიფომ უნდა გაგაკონტროლოს, ვისთან ერთად სვამ, სად რამდენი იკრიბებით და გიკეთიათ თუ არა ნიღბები? სახელმწიფო ყველგან ხომ არ გაგაკონტროლებს! კეთილი ინებე და დაიცავი წესები, დაიცავი შენი თანამოქალაქეები.

– ჩვენ რომ წესებს ვიცავდით, სხვები არღვევდნენ. მოგვიანებით მთავრობამ ყველა დამრღვევს აპატია დანაშაული. ესეც საზოგადოების ბრალია?

– ეს სახელმწიფოს სისუსტეა. ან დააწესე გონივრული ჯარიმები, ან საერთოდ ნუ დააწესებ. თუ გადასახდელია ჯარიმა, ყველამ უნდა გადაიხადოს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კანონის შესრულება. კანონიერებისადმი წაყრუება არ შეიძლება.

– პანდემია ხელს უშლის წინასაარჩევნო კამპანიას?

– შეხვედრები ვერ გაიმართება, მაგრამ პარტიებს და კანდიდატებს შეუძლიათ თავიანთი ხმის მიწვდენა ამომრჩევლებისათვის. საამისო სივრცე არსებობს. თუმცა, მისაუბრია, რომ სიტყვის თავისუფლება ყველგან არაა და ყველა ტელევიზიაში ერთი და იგივე ხალხი დადის. მთავარია, არჩევნებზე დაცული იყოს ყველას ხმა, იყოს არჩევანის თავისუფლება. წინასაარჩევნო პროცესი ზოგან უფრო მშვიდია, ზოგან – გამძაფრებული. არ უნდა მოხდეს კონსტიტუციიდან გამოსვლა და კონსტიტუციური წესრიგის დარღვევა.

– ამას ვინმე აპირებს?

– რასაკვირველია. მთავარ ოპოზიციად წოდებული პოლიტიკოსები მუდმივად ცდილობენ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. ეს ჭორი არ არის. ეს სინამდვილეა. ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს უფლება, გააკეთოს არჩევანი საკუთარი გემოვნების მიხედვით. არ უნდა დაირღვეს წესრიგი.

– ადგილობრივ არჩევნებზე რა პროგნოზს აკეთებთ?

–„ქართული ოცნება“ პირველ ადგილზე გავა. ეს პარტია სულაც არ არის ძლიერი. ეს მოხდება ოპოზიციის სისუსტის გამო. საჭიდაო არენაზე რომ ერთი მოჭიდავე გამოვიდეს და მეტოქე არ გამოცხადდეს, მას გამარჯვება ჩაეთვლება. არჩევნებზეც დაახლოებით იგივეა.

– ოპოზიცია ხომ მონაწილეობს?

– როგორ არა, მაგრამ როგორ მონაწილეობს?! ნაცმოძრაობა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაშია. სხვები ვინ არიან? ბოკერია რას მიაღწევს? ისე, არჩევანი რომ მიდგეს ბოკერიას, სააკაშვილს, ბაქრაძეს და უგულავას შორის, ბევრი სააკაშვილს ამჯობინებს. ამ არჩევნებზე ბლოკები არ არის. ოპოზიცია ამის გამო წუხს. ბლოკები არ არის და თუ ერთიანობა უნდათ და შეუძლიათ, ვინ დაუშალათ ერთიანი სიით წარდგომა! დაეწერათ ერთიანი სია. ჩემი აზრით, ამითაც ვერაფერს მიაღწევდნენ, იმიტომ, რომ ნულების შეკრებით ისევ ნული დგება. ოპოზიცია ყველაფერს საარჩევნო სისტემას აბრალებს. საარჩევნო სისტემა კორონავირუსივითაა, რომელსაც ყველაფერს აბრალებენ. საარჩევნო სისტემა კი არა, ოპოზიციის სისუსტეა მთავარი. ოპოზიციაში არიან პირები, რომლებმაც ხალხს თავი მოაბეზრეს.

„მოგვიწია კომაში გადაყვანა, იყო აუცრელი“

ბოკერიას კლინიკაში 7 თვის ორსული გარდაიცვალა

ბოკერიას სახელობის კლინიკაში კორონავირუსით ორსული გარდაიცვალა. ბოკერიას სახელობის სამედიცინო ცენტრის სამედიცინო დირექტორი ალექსი ვაჩაძე აცხადებს, რომ 30 წლის ქალი 20 კვირის ორსული იყო და ის კლინიკაში 27 ივლისს ზოგადი სისუსტითა და ტემპერატურით მოათავსეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ვაჩაძემ განუცხადა, თავდაპირველად პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილური იყო და რეანიმაციულ განყოფილებაში მხოლოდ 13 აგვისტოს გადაიყვანეს.

– გარდაიცვალა ახალგაზრდა გოგონა, რომელიც იყო 20 კვირის ორსული. 27 ივლისს მოგვმართა და ამ დროს უკვე დადასტურებული ჰქონდა კორონავირუსი. შემოსვლისას ის იყო 18 კვირის ფეხმძიმე. ჰქონდა ზოგადი სისუსტე, ტემპერატურა, იყო აუცრელი. ჰქონდა კუნთების და ყელის მცირე ტკივილი. თავიდან სრულიად სტაბილური იყო. მოთავსდა მეან-გინეკოლოგიურ განყოფილებაში, სადაც დაეწყო მკურნალობა. რამდენიმე დღეში პაციენტმა იგრძნო მდგომარეობის გაუარესება. დასჭირდა ჟანგბადი, ჩვეულებრივი ნიღბით მიწოდებული დაბალი ჟანგბადი იყო საკმარისი, ამიტომ თავდაპირველადვე, მიუხედავად იმისა, რომ რეანიმატოლოგები იყვნენ საქმის კურსში, მსუბუქი მიმდინარეობის გამო რეანიმაციისკენ არ გაგვიხედავს.

გაუარესება დაიწყო 12 აგვისტოდან, როდესაც დასჭირდა ვენტილაციაზე მიერთება ნიღბით. 13-ში გადავიყვანეთ რეანიმაციაში, 16 აგვისტოს მოგვიწია კომაში და სრულ მექანიკურ ვენტილაციაზე გადაყვანა. გუშინ ჩაუტარდა თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია. დიალიზმა რაღაც რიგი ფიზიოლოგიური პროცესების გაუმჯობესების საშუალება მოგვცა, მაგრამ გოგონას რესურსები გამოლეული ჰქონდა და დღეს დაფიქსირდა გარდაცვალება. იყო 30 წლის, ჯანმრთელი ახალგაზრდა, – განაცხადა ვაჩაძემ.

„დღეს აფხაზეთი განსაკუთრებით დიდი საფრთხის წინაშე დგას“

ჯემალ გამახარია: „რუსეთი არა მარტო საქართველოს მტერია, არამედ აფხაზების მტერიცაა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.

– ბატონო ჯემალ, საქართველოს ისტორიაში აგვისტო-სექტემბერი მძიმე თვეებია, როცა დაიწყო ომი აფხაზეთში და კატასტროფით დამთავრდა. რატომ ვერ ავიცილეთ ომი?

– ომის გაჩაღებაში ისეთი ძალები იყვნენ ჩართული, რომ ომის აცილება შეუძლებელი იყო. შეიძლებოდა ომის თარიღი გადადებულიყო რაღაც დროით, მაგრამ ისეთი ძალები ამზადებდნენ ამ ომს და ისე იყო მომზადებული, ომი გარდაუვალი გახლდათ.

– რა გაქვთ სათქმელი წლების შემდეგ, როცა უკვე აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთი ჩვენი მტერია?

– რუსეთი არა მარტო საქართველოს მტერია, არამედ აფხაზების მტერიცაა. რუსეთი ისტორიულადაც აფხაზების მტერია. როცა დღევანდელი გადასახედიდან აანალიზებ ყველაფერს და დღეს არსებულ ვითარებას ვაკვირდებით, ვაკეთებთ დასკვნას, რომ აფხაზური საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი, რომელიც 1992-93 წლის მოვლენებს სამამულო ომს ეძახდა, მიმხვდარია, რომ ეს მათი ომი არ იყო. ეს იყო ომი რუსეთის ინტერესებისთვის.

იმ მიზნების მიღწევას, რა მიზნებსაც რუსეთი ამ ომში ისახავდა, რა მიზნითაც მოაწყო აფხაზეთში ქართველთა გენოციდი და ეთნოწმენდა, კრემლი დღეს აშკარად ცდილობს. ეს არის მცოცავი ანექსიის პოლიტიკა, რომელიც მთელი სიმძლავრითაა ამუშავებული. აფხაზური საზოგადოების ნაწილი ამას უკვე აცნობიერებს და წინააღმდეგობას უწევს.

– რა საფუძველი გაქვთ, რომ ამბობთ, აფხაზური საზოგადოების ნაწილი რუსეთის მიზნებს აცნობიერებს და წინააღმდეგობას უწევსო?

– ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობთ იქ არსებულ განწყობებს საზოგადოების ამა თუ იმ ფენაში, ამა თუ იმ ჯგუფში და კონკრეტულ ადამიანებში. ეს გვაძლევს მსგავსი დასკვნის გაკეთების საშუალებას. დღეს აფხაზეთი განსაკუთრებით დიდი საფრთხის წინაშე დგას, ძალიან დიდი. სწორედ დღეს უნდა რუსეთს აღასრულოს ის, რისთვისაც იბრძოდა აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ, რისთვისაც მოაწყო აფხაზეთის რეგიონში ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

ე.წ. მცოცავი ანექსიის პოლიტიკა დღეს მთელი სიმძლავრითაა ამუშავებული. აფხაზური საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი რუსეთის ამ პოლიტიკას წინააღმდეგობას უწევს და იმედი მაქვს,

რუსეთი ამ წინააღმდეგობის პირობებში თავისი მიზნის მიღწევას ბოლომდე ვერ შეძლებს.

– რატომ ახერხებს მტერი ჩვენი ხელით თავისი საქმის გაკეთებას?

– თავიდან შეიძლება ეს იყო გამოუცდელობის გამო, მაგრამ გამოუცდელობის გამო ადამიანი ცდება მხოლოდ ერთხელ. მეორედ რომ შეცდები, ეს უკვე შეცდომა არ არის.

– აბა, რა არის?

– ბევრად უარესი რამ. არ მინდა ზუსტი სახელი დავარქვა. თუ ჩვენ კონკრეტულად 1992-93 წლებს და შემდეგ პერიოდს ვიგულისხმებთ, ძალიან კარგად გახსოვთ, ეს იყო სამოქალაქო დაპირისპირების პერიოდი, 1991-92 წლების სამოქალაქო დაპირისპირებაც არა მხოლოდ შიდა ძალების მიერ იყო ორგანიზებული. შიდა ძალები იმდენად სუსტი იყო, რომ ისინი საზოგადოების გახლეჩას ვერ შეძლებდნენ, ისევ და ისევ ჩვენი ისტორიული მტერი იყო გარეული, რადგან რუსეთს საქართველოსთან დაკავშირებით თავისი მიზნები ჰქონდა.

რუსეთის მიზანი საქართველოს ისევ იმპერიის შემადგენლობაში უკან დაბრუნება ან ქვეყნის დაქუცმაცება იყო, რაც ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდებით, სამოქალაქო დაპირისპირებით, სამოქალაქო ომის გაჩაღებით გახლდათ შესაძლებელი. ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი წამოეგო მტრის ანკესს და ამის გამო დავკარგეთ ტერიტორიები.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ჩვენ ტერიტორიები დავკარგეთ, იყო და არის 1991-93 წლების სამოქალაქო დაპირისპირება, რომელიც ისევ და ისევ ოკუპანტმა სახელმწიფომ, რუსეთმა მოაწყო. კრემლმა ორგანიზება გაუკეთა, დააფინანსა და ფიზიკურად, თავისი შეიარაღებული ძალებითაც დაეხმარა დესტრუქციულ ძალებს, რომლებსაც სურდათ საქართველოს გახლეჩა და ქვეყნის ისევ რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში დაბრუნება.

– აფხაზეთში საზოგადოების დიდი ნაწილი მიმხვდარია, რასთან გვაქვს საქმე, ხვდება, რუსეთს რა ინტერესი ჰქონდაო. შერიგების კონტურებს თუ ხედავთ?

– რა თქმა უნდა. შერიგების კონტურებს, შერიგების, ნდობის აღდგენის შესაძლებლობას ვხედავ. ის ვითარება, რომელიც დღეს აფხაზეთში არსებობს, ამის საშუალებას იძლევა.

ყოველთვის ძალიან დიდ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ შარშან, 2020 წლის 12 ნოემბერს, ბუანიასა და ანქვაბს რუსეთმა ხელი მოაწერინა პროგრამაზე, რომელსაც ჰქვია რუსეთსა და აფხაზეთს შორის საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საფუძველზე.

აღნიშნული პროგრამის რეალიზება აფხაზეთის რუსეთის 2023 წლამდე სამართლებრივ სივრცეში მოქცევას ნიშნავს. ხელი კი არის მოწერილი, რომ ეს გაკეთდეს, მაგრამ პროგრამის განხორციელებას სასტიკ წინააღმდეგობას უწევს აფხაზეთის მთელი საზოგადოება. მათ შორის, იმ ადამიანებსაც არ უნდათ რუსეთის მიერ შემოთავაზებული პროგრამის განხორციელება, ვისაც დოკუმენტზე ხელი მოაწერინეს.

– არ უნდათ, მაგრამ როგორ შეძლებენ ამას?

– აქ ქართველებსა და აფხაზებს თანამშრომლობის ძალიან დიდი შესაძლებლობა აქვთ, რომ ერთად თავიდან აიცილონ ის კატასტროფა, რომელიც დღეს აფხაზეთს ელოდება. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

ერთ-ერთი მთავარი მუხლი ამ პროგრამაში ორმაგი მოქალაქეობაა. რომელიც 2021 წლის ბოლომდე უნდა იყოს შემოღებული. ეს იმას ნიშნავს, რუსები ისევე მიიღებენ აფხაზეთის მოქალაქეობას, როგორც აფხაზები ღებულობენ აფხაზეთის მოქალაქეობას. ამით აფხაზეთი ხომ დამთავრდა?!

– შეწინააღმდეგება არ შეგვიძლია?

– შეგვიძლია. ჯერ, რა თქმა უნდა, აფხაზებმა უნდა გაუწიონ წინააღმდეგობა და ასეთი დე ფაქტო კანონი არ უნდა მიიღონ. ჩვენ კი საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით შეგვიძლია რუსებს ხელი შევუშალოთ ამ გეგმის განხორციელებაში.

– ამ მომენტში რას ეტყვით აფხაზებს?

– აფხაზებს, ძალიან ბევრ ჩემს მეგობარს, ჩემს ყოფილ სტუდენტებს პირველ რიგში, მოკითხვას შევუთვლი (მათგან ბევრთან ურთიერთობა მაქვს) და ვუსურვებდი, გაურკვევლობის ვითარებიდან გამოვიდნენ და საკუთარი ინტერესებიდან, გადარჩენის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ. ეს ჩვენ აუცილებლად მიგვიყვანს გაერთიანებამდე. აფხაზეთის გადარჩენის გასაღები მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაშია. სხვა გზა არ არსებობს.

„ზვიადაურმა კენჭოშვილს საყელოში ხელი წაავლო, მაგრამ მისი გაკავება ვერ მოახერხა და ამიტომ ესროლა“

პროკურატურამ ზვიადაურს განზრახ მკვლელობის ფაქტზე ბრალდება წარუდგინა

ზურაბ ზვიადაურის ადვოკატის, ტარიელ მურმანიშვილის, განცხადებით, წინანდალში მომხდარი დაპირისპირება ბიზნესწილების გარჩევას არ უკავშირდება.

როგორც ზურაბ ზვიადაურის უფლებადამცველი აღნიშნავს, დაპირისპირების მიზეზი ყოფითი საკითხი იყო.

– მანდ არ არის ბიზნესწილების გარჩევა. ყოფითი საკითხებია. სამშენებლო ობიექტზე ერთი ბრიგადა ლესავს, მეორე ბრიგადა აშენებს. ამ ბრიგადამ, რომელიც ლესავს, გამოიყენა ჭურჭელი და შიგნით აზილა ცემენტი. მეორე მხარე მოვიდა და ამათ დაუწყო ჩხუბი, ეს ჭურჭელი ცოტა ძვირადღირებულია და არ უნდა გამოგეყენებინაო. ეს კონფლიქტში გადაიზარდა, დაარტყეს ერთმანეთს და ამას მოჰყვა. არანაირი ბიზნესწილები და ბიზნესგარჩევა არ ყოფილა, – აღნიშნა ადვოკატმა.

ზურაბ ზვიადაური ბრალს არ აღიარებს.

– ბრალს არ აღიარებს. დანაშაული არ ჩაუდენია მას და როგორ შეიძლება აღიარო ის, რაც არ ჩაგიდენია. ის ამბობს, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში იყო.

როდესაც ის მივიდა, ორივე მხარე შეკრებილი იყო, თავის ძმას ეძებდა და რომ მოიკითხა, აქ რა გინდათო, მეორე მხრიდან ვიღაც გამოეყო, სავარაუდოდ, დაუძახეს, აქეთ მოდითო. ორი ჯგუფი წავიდა ერთმანეთისკენ და სროლა დაიწყო. ამ სროლის დროს დაინახა, რომ მეორე მხრიდან, გარდაცვლილს ცეცხლსასროლი იარაღი ეკავა და ამათკენ დამიზნებით ისროდა, რომ მოიხედა, მის ძმას მოხვდა, სისხლი წამოუვიდა, მეგობარს, 2 ადამიანს მოხვდა, ამისკენაც შემობრუნდა და ისვრის. ამ დროს ეცადა ზვიადაური, ნიკა კენჭოშვილი გაენეიტრალებინა. ხელი წაავლო საყელოში, მაგრამ ვერ მოახერხა მისი გაკავება. რაც უნდა ოლიმპიური ჩემპიონი იყო, ცეცხლსასროლი იარაღის წინ უძლური ხარ, ამოიღო იარაღი და მანაც განახორციელა მის მიმართ გასროლა, – აღნიშნა ადვოკატმა.

მას ჰქონდა მოლოდინი, რომ ბრალდების მხარე ზურაბ ზვიადაურს ბრალს არ წარუდგენდა, რადგან მისი დაცვის ქვეშ მყოფის ქმედებაში კანონსაწინააღმდეგო არაფერი იყო.

– საქმის მასალებს არ გავცნობივარ, მაგრამ არ მაქვს მოლოდინი, რომ ზურაბ ზვიადაურს ბრალი უნდა წაუყენონ. იმაზეც გაკვირვებული ვარ, რატომ ჰყავთ დაკავებული. მის ქმედებაში არ არის კანონის დარღვევა, მართლსაწინააღმდეგოდ ის არ მოქმედებდა, მისი ქმედება იყო ლეგიტიმური, კანონიერი, იცავდა როგორც საკუთარ სიცოცხლეს, ისე ცდილობდა დაეცვა თავისი ძმისა და იქ მყოფი მეგობრების სიცოცხლე.

ჩემი მოლოდინია, რომ პროკურატურამ მას ბრალდება ვერ უნდა წარუდგინოს. ის მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების პრინციპით. მე ვესაუბრე ზურაბ ზვიადაურს, მისი პოზიციიდანაც ვიცი, რაც იყო რეალობა. მას კონფლიქტში მონაწილეობა არასდროს მიუღია. მივიდა თავის ძმის წამოსაყვანად, ატყდა ავტომატიდან სროლა, ჰქონდა საპასუხო რეაქცია მისი და მისი ძმის მიმართულებით რომ ისროდნენ, ამის გამო.

მან გაისროლა მას შემდეგ, რაც ავტომატიდან მას და მის ძმას ესროდნენ. ამბობს, რომ ეს იყო ჩემი, ჩემი ძმისა და ჩემი მეგობრების სიცოცხლის დასაცავადო. მე არ მაქვს მონაცემები, რომ ბრალდების წაყენებას აპირებენ, არავის უთქვამს. 24 საათია გასული მისი დაკავებიდან და აქვთ ჯერ დრო. იმედი მაქვს, ვერ წარუდგენენ ბრალდებას და არც დაგვჭირდება საქმის მასალების გაცნობა. 72 საათში თუ ვერ იქნა ბრალდება წარდგენილი, უნდა გაათავისუფლონ, – განაცხადა ადვოკატმა.

ადვოკატის მოსაზრება არ გამართლდა. გუშინ, 18 აგვისტოს, პროკურატურამ ზურაბ ზვიადაურს განზრახ მკვლელობის ფაქტზე ბრალი წარუდგინა.

პროკურატურამ ბრალი წარუდგინა წინანდალში მომხდარი შემთხვევის დროს დაკავებულ კიდევ ერთ პირს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლით წარედგინა (ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რითაც შეიქმნა პირობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია).

„საქართველოს პროკურატურამ 16 აგვისტოს, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდალთან მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე – ზ.ზ.-ს, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვისთვის, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, – ჯ.ჯ.-ს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ 2021 წლის 16 აგვისტოს, თელავის რაიონის სოფელ წინანდალში, ე.წ. მუხიანის ტერიტორიაზე, რამდენიმე პირს შორის დაწყებული ურთიერთშელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც ორმხრივი სროლა მოჰყვა. ვ.ც.-მ ჯ.ჯ.-ს კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა, რა დროსაც დაპირისპირებაში მონაწილე ნ.კ.-ის მხრიდან საპასუხო სროლის შედეგად ვ.ც. და ზ.ზ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო – ზ.მ. და ა.შ. სხეულის სხვადასხვა არეში დაიჭრნენ.

მომხდარი დაპირისპირებისას, ასევე კონფლიქტში მონაწილე ზ.ზ.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის დროს სასიკვდილოდ დაჭრა ნ.კ. სამართალდამცველებმა ზ.ზ. და ჯ.ჯ. 17 აგვისტოს დაიკავეს. ზ.ზ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 8-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებულ ჯ.ჯ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლით წარედგინა (ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რითაც შეიქმნა პირობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია), რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით თელავის რაიონულ სასამართლოს დღესვე მიმართავს“ – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ადვოკატები ზვიადაურისთვის გირაოს შეფარდებას მოითხოვენ.

– სასამართლოს მოვთხოვთ აუცილებლად, რომ ზურაბ ზვიადაურს გირაო შეეფარდოს. ასევე ცნობილ პიროვნებებს, სპორტსმენებს, რომლებიც დაუდგებიან თავდებში, წარვუდგენთ სასამართლოს, – განაცხადა ზურაბ ზვიადაურის ადვოკატმა კახა ცნობილაძემ.

მისი თქმით, თავდებში ჩადგომის სურვილი მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, ლაშა ბექაურმა და ლაშა ტალახაძემ გამოთქვეს.

– ვიცი, რომ მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონები, ლაშა ბექაური და არა მარტო ბექაური, ლაშა ტალახაძეც იქნება, მზად არიან ჩაუდგნენ თავდებში ამ ადამიანს, – განაცხადა ადვოკატმა.

აშშ-ში მცხოვრებ პირს 300 დოლარი მოტყუებით გადმოარიცხვინა

გ.ლ. დააკავეს

პოლიციამ სოციალურ ქსელებში თაღლითობის ფაქტზე 1 პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, 1996 წელს დაბადებულ გ.ლ. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, თაღლითობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია გამოძიება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაულები 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ გ.ლ.-მ 2020 წლის დეკემბერში, კანადაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქის სახელით სოციალურ ქსელ ფეისბუქზე დაარეგისტრირა მომხმარებლის ყალბი პროფილი, რის შემდეგაც დაიმატა მეგობრები და მათგან ერთ-ერთს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ნ.ღ.-ს მისწერა, თითქოს მის შვილს ჰქონდა ფინანსური პრობლემები, რის გამოც საქართველოში სასწრაფოდ უნდა გადაეგზავნა 300 აშშ დოლარი. ნ.ღ-მ ჩათვალა, რომ რეალურად კომუნიკაცია ჰქონდა მის ნათესავთან, რის გამოც იმავე დღეს, სწრაფი გზავნილების საერთაშორისო სისტემის მეშვეობით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველოში გ.ლ-ს სახელზე გამოგზავნა თანხა 300 აშშ დოლარის ოდენობით.

აღნიშნული თანხა გ.ლ.-მ გაანაღდა ერთ-ერთი კომერციული ბანკის ფილიალიდან, რითაც ნ.ღ.-ს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი“ – აღნიშნულია ინფორმაციაში, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ურეკში, პოლიციის შენობის წინ, ბენზინგასამართ სადგურს თავს დაესხნენ

ურეკში, გალფის ბენზინგასამართ სადგურს ორი დაუდგენელი პირი თავს დაესხა. შემთხვევა 17 აგვისტოს გვიან ღამით მოხდა.

თავდამსხმელებმა ბენზინგასამართი სადგურისა და მასთან მდებარე მარკეტის პერსონალს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

გალფის ადგილობრივი მენეჯერი მედიასთან დეტალებზე არ საუბრობს, მარკეტის თანამშრომელი კი ამბობს, რომ 112-ში შემთხვევის დროს დარეკეს, თუმცა პოლიციამ თავდამსხმელების დაკავება ვერ შეძლო. ურეკის პოლიციის ოფისი გალფის მოპირდაპირედ მდებარეობს. თავდამსხმელებმა სწრაფი ჩარიცხვის აპარატიც დააზიანეს.

კომპანიის ხელმძღვანელი პასუხისგებაში მისცეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში ერთი კომპანიის ხელმძღვანელი პირი მისცეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, რომელიც ხელმძღვანელობდა თბილისში მოქმედ ერთ-ერთ კომპანიას, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით, სისტემატურად ახდენდა შემოსავლების არასწორ დეკლარირებას, რითაც თავს არიდებდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადის გადახდას. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით“– ნათქვამია ინფორმაციაში.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო სიგარეტი ამოიღეს

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო სიგარეტი გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგად, ჩოხატაურში, 3 კილოგრამი თუთუნისა და 847 კოლოფი უაქციზო სიგარეტის შენახვის ფაქტი გამოავლინეს.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს უაქციზო საქონელი ჩამოერთვათ. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, საქმის მასალები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა“– ნათქვამია ინფორმაციაში.

შსს-ს თანამშრომლების ვაქცინაციის პროცესი მიმდინარეობს

ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მასობრივი აცრის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად გრძელდება.

„თბილისის ზღვის პლაჟაში“ გახსნილ იმუნიზაციის ცენტრში გუშინ, 18 აგვისტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ვაქცინაცია.

კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო სხვადასხვა ვაქცინით სამინისტროს თანამშრომელთა მასობრივი ვაქცინაციის პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს როგორც დედაქალაქში, ასევე, რეგიონებში არსებულ იმუნიზაციის ცენტრებში. თბილისსა და რეგიონებში არსებულ იმუნიზაციის ცენტრებში მოწყობილია ვაქცინაციის კაბინეტები, რომლებიც შესაბამისი სამედიცინო საშუალებებით არის აღჭურვილი, რაც უზრუნველყოფს ვაქცინაციის პროცესის და მისი შემდგომი პერიოდის მეთვალყურეობის უსაფრთხო გარემოში ჩატარებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეუძლიათ, კვირის ნებისმიერ დღეს, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე აიცრან „ფაიზერის“, „სინოვაკის“ ან „სინოფარმის“ ვაქცინით.

ამ ეტაპზე, სამინისტროს თანამშრომლების 60%-მდე უკვე აცრილია.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აჭარაში 42 ობიექტში დარღვევები გამოავლინა

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, აჭარაში სხვადასხვა სახის დარღვევა 42 ობიექტში გამოვლინდა. კერძოდ:

11 ხორცისა და თევზის რეალიზაციისას (დაილუქა 217კგ-მდე ხორცი, 1.5 კგ. კუპატი, 53 კგ. თევზი), 8 საშაურმეში, 13 საცხობში, 10 საკონდიტროში.

აჭარაში სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფებმა ივლისის თვეში სახელმწიფო კონტროლი 95 ობიექტში ჩაატარეს, მათ შორისაა 16 საშაურმე, 26 საცხობი, 19 საკონდიტრო და 34 – ხორცისა და თევზის სარეალიზაციო ობიექტი.

სურსათის ეროვნული სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით შემოწმებებს აგრძელებს.

წეროვანთან ავარიაში 2 ადამიანი დაიღუპა

ავტობანზე წეროვანთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და გადაბრუნდა. შემთხვევის შედეგად 2 ადამიანი გარდაიცვალა.

შემთხვევა 17 აგვისტოს ღამით მოხდა.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მერვე ნაწილითაა დაწყებული, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

თალიბანის საწინააღმდეგო აქციაზე 3 ადამიანი დაიღუპა

ავღანეთის თალიბანის ლიდერები თავიანთ თავს მსოფლიოს თანდათან გააცნობენ.

ამის შესახებ როიტერს თალიბანის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განუცხადა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

– ნელ-ნელა, თანდათანობით, მსოფლიო დაინახავს ჩვენს ყველა ლიდერს, ისინი აღარ დარჩებიან საიდუმლოების ჩრდილში, – განაცხადა თალიბანის წარმომადგენელმა.

გუშინ, 18 აგვისტოს, ცნობილი გახდა, რომ თალიბანის თანადამფუძნებელი და ლიდერის მოადგილე მულა აბდულ ღანი ბარადარი, რომელიც ქვეყნიდან გაძევებული იყო, ავღანეთში, კერძოდ კი, ქალაქ ყანდაარში დაბრუნდა.

გუშინვე ქალაქ ჯალალაბადში თალიბანის საწინააღმდეგო აქციაზე მინიმუმ 3 ადამიანი დაიღუპა და 10-ზე მეტი დაშავდა.

თალიბებმა მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნეს. თვითმხილველების განცხადებით, თალიბებმა ცეცხლი მაშინ გახსნეს, როდესაც ადგილობრივები ქალაქის მოედანზე ავღანეთის ეროვნული დროშის აღმართვას ცდილობდნენ.

ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე კომენტარი გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა გააკეთა.

– ჩვენ ამ რეჟიმს განვსჯით მისი მოქმედებებით და არა სიტყვებით, მისი დამოკიდებულებით ტერორიზმის, დანაშაულისა და ნარკოტიკების მიმართ, ასევე, განათლების მიღებაზე გოგონებისთვის მინიჭებული უფლებებით. ამ გარდამტეხ მომენტში ჩვენ უნდა დავეხმაროთ ავღანელ ხალხს, აირჩიონ საუკეთესო მომავალი, – განაცხადა ჯონსონმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე, რომელზედაც ავღანეთის საკითხზე იმსჯელეს.

ჯონსონმა გამორიცხა ქვეყანაში სამხედრო მოქმედებების განახლება.

– ილუზიაა იმის დაჯერება, რომ ჩვენს პარტნიორებს შორის არსებობს ავღანეთში სამხედრო ყოფნის გაგრძელების სურვილი, – აღნიშნა ჯონსონმა.

ჩრდილოეთ მაკედონიიდან ორი რუსი დიპლომატი გააძევეს

ჩრდილოეთ მაკედონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოსმანიმ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ მაკედონიიდან ორი რუსი დიპლომატი გააძევეს..

– რუსი დიპლომატების მოქმედება მაკედონიის უშიშროებას საფრთხეს უქმნიდა, – განაცხადა მან.

რუსეთის რეაქციამ არ დაახანა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრუშკომ აღნიშნა, რომ ხსენებულმა დიპლომატებმა მაკედონია 10 დღის წინ დატოვეს, რადგანაც მივლინების ვადა დაუმთავრდათ.

– მაკედონიის ხელისუფლების მოქმედება შეიძლება ცალსახად შევაფასოთ, როგორც მტრული. ეს კი სათანადო პასუხის გარეშე არ დარჩება! – დაიმუქრა გრუშკო.

აშშ მოქალაქეებს ვაქცინების ბუსტერ დოზას სექტემბრიდან შესთავაზებს

აშშ-ის ხელისუფლება გეგმავს, 20 სექტემბრიდან კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების მესამე დოზა ყველა ამერიკელისთვის ფართოდ ხელმისაწვდომი გახადოს.

აშშ-ის ჯანდაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით, ქვეყანა იმ მოქალაქეებს შესთავაზებს ე.წ. ბუსტერ დოზას, რომლებიც პირველად 8 თვის წინ აიცრნენ.

თავდაპირველად მესამე დოზა ჯანდაცვის სფეროს თანამშრომლებზე, მოხუცთა თავშესაფრების მცხოვრებლებსა და ასაკოვან ადამიანებზე გაიცემა.

ამ ჯგუფების წარმომადგენელთა აცრა აშშ-ში 2020 წლის ბოლოდან დაიწყო. როგორც აშშ-ის ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელთა ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, მათი ეს გადაწყვეტილება ეფუძნება იმ მონაცემს, რომლის თანახმადაც, აშშ-ში ამჟამად ავტორიზებული კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების დაცვისუნარიანობა აცრიდან რამდენიმე თვის განმავლობაში კლებას იწყებს.

საერთო განცხადებას უერთდება აშშ-ის ალერგიის და ინფექციურ დაავადებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი ენტონი ფაუჩი, ასევე დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის, სურსათისა და წამლების ადმინისტრაციის და ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის ხელმძღვანელები.

– ხელმისაწვდომი მონაცემები ძალიან ნათლად ცხადყოფს, რომ კორონავირუსის ინფექციის წინააღმდეგ დაცვა დროთა განმავლობაში კლებას იწყებს და „დელტა“ ვარიანტის დომინირებასთან თანხვედრაში, ჩვენ ვხედავთ მტკიცებულებებს, რომ მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დაავადების მიმართ დაცვა მცირდება. გამაძლიერებელი დოზა საჭირო იქნება ვაქცინის დაცვის მაქსიმალურად გაზრდისა და მისი გამძლეობის გახანგრძლივების მიზნით, – აღნიშნულია განცხადებაში.

ოფიციალური პირები ვარაუდობენ, რომ ბუსტერ დოზა მათაც დასჭირდებათ, ვინც ჯონსონის ვაქცინის ერთკომპონენტიანი აცრა ჩაიტარა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯალეიდოსკოპი

პატრონისგან გაქცეული თუთიყუში მეტროში მგზავრებს მატარებლის მოახლოებაზე აფრთხილებდა

ინგლისის სურეის საგრაფოს სოფელ ტედვორტში თუთიყუში პატრონს გაექცა. თავი ლონდონის მეტროში ამოყო და მგზავრებს მატარებლის მოახლოების თაობაზე აფრთხილებდა.

ორი წლის თუთიყუში, სახელად გრეი, პატრონის სახლის სამზარეულოში დადგმული გალიიდან გაიქცა და 30 კილომეტრი იფრინა, სანამ ლონდონის მეტრომდე მიაღწევდა.

ბრიტანეთის სატრანსპორტო პოლიციამ ფრინველს უსახლკაროს მხარზე წამოსკუპებულს მიაგნო მეტროს სადგურ ლონდონ-ვატერლოოში. თავდაპირველად მამაკაცმა უარი განაცხადა თუთიყუშთან გაშორებაზე. პოლიციელებმა გაქცეულ ფრინველს დროებით „ნაპოლეონი“ დაარქვეს და მისი ფოტოსურათი ტვიტერში განათავსეს მისი პატრონის პოვნის იმედით.

გრეის პატრონი კარლინ ბოისი და მისი ნათესავები უშედეგოდ ეძებდნენ ფრინველს სოფლის შემოგარენში, შემდეგ კი სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია ნახეს და პოლიციას დაუკავშირდნენ. მათ თუთიყუში საქველმოქმედო ცენტრიდან წამოიყვანეს.

კარლინის თქმით, გრეი დაღლილივით გამოიყურებოდა, თუმცა ჭამის შემდეგ ისევ გაშინაურდა სახლში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ დროის განმავლობაში, რაც თუთიყუში დაკარგული იყო, მას ესწავლა ისეთი ხმების გამოცემა, რომელიც მატარებლის მოახლოების მაუწყებელი იყო.



მამაკაცმა მილიონები მიითვისა და პორნო ვებ-გვერდებზე გაფლანგა

სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის შვილობილი არაკომერციული ორგანიზაციის ყოფილმა თანამშრომელმა 12,86 მილიონის მითვისების ბრალდებაში, რომელიც შემდეგ პორნო ვებ-გვერდებზე გაანიავა, თავი დამნაშავედ ცნო.

59 წლის რალფ პაგლისი სამედიცინო მომსახურების ასოციაციის უნივერსიტეტში მთავარ ბუღალტრად მუშაობდა. 2020 წლის ნოემბერში ასოციაციის ხელმძღვანელობამ საეჭვო აქტიურობა შენიშნა და რამდენიმე დღის შემდეგ თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს. გარდა ამისა, გამოძიების მონაცემებით, გაათავისუფლეს კომპანიის ფინანსირების დირექტორიც, რომელიც პაგლისის ხელმძღვანელი იყო.

მთავარი ბუღალტრის მიერ მითვისებული თანხიდან, მინიმუმ 11,5 მილიონი დოლარი მან გაფლანგა ვებ-გვერდებზე, რომელზეც გოგონები მამაკაცებს იცნობენ და ინტიმურ ფოტოსურათებსა და ვიდეორგოლებს უგზავნიან. გაირკვა, რომ პაგლისი ასეთ ვებ-გვერდებზე 22 ათასჯერ იყო შესული.

საბოლოოდ ყოფილმა მთავარმა ბუღალტერმა დანაშაული აღიარა და მითვისებული თანხის დაბრუნებაზე თანხმობა განაცხადა. მისმა ადვოკატმა ენტონი რიკმანმა თქვა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი გამოძიებასთან თანამშრომლობდა და საჭირო ნაბიჯებს დგამდა სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტისთვის კომპენსაციის გადასახდელად.

განდეგილი საზოგადოებას 30 წლის შემდეგ დაუბრუნდა

ამერიკის ნიუ-ჰემპშირის შტატში ადამიანებთან 30-წლიანი მარტოობის შემდეგ დაბრუნდა 81 წლის განდეგილი, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში ტყეში ქოხში ცხოვრობდა.

ყოფილი მეტყევე დევიდ ლიდსტოუნი 1994 წლიდან განმარტოებით ცხოვრობდა. მან მეუღლესთან ერთად ტყეში ქოხი ააშენა და ისინი საკუთარ თავს თავად უზრუნველყოფდნენ აუცილებელი პროდუქტებით: ხილითა და ბოსტნეულით, მოაშენეს ქათმები, ფუტკრები. დენს მზის ბატარეებით გამოიმუშავებდნენ, რომლებიც ქოხის სახურავზე იყო დაყენებული. მეუღლესთან დაშორების შემდეგ ლიდსტოუნი მარტო დარჩა და ძირითადად მენავეებთან ურთიერთობდა, რომლებსაც მდინარეზე ხვდებოდა, ზოგჯერ კი თავისთან ეპატიჟებოდა და საკუთარ ცხოვრებაზე უყვებოდა.

ტყის მფლობელი რამდენიმე წელი ცდილობდა ლიდსტოუნის გაგდებას. 2017 წელს სასამართლომ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა და განდეგილს ქოხის დატოვება მოსთხოვა. ამაზე მამაკაცმა უარი განაცხადა და 4 აგვისტოს ის დაიკავეს. სანამ კაცი საპატიმროში იმყოფებოდა, მისი ქოხი დაიწვა. მეხანძრეები ცეცხლის განზრახ წაკიდებას არ გამორიცხავენ, თუმცა, იმასაც უშვებენ, რომ შესაძლოა აღების მცდელობისას ქოხს ცეცხლი შემთხვევით წაეკიდა.

ხანძრის შემდეგ ლიდსტოუნი ციხიდან გაათავისუფლეს.

– სავარაუდოდ, განდეგილობას ვეღარ შევძლებ, ვინაიდან საზოგადოება არ მაძლევს ამის საშუალებას, – აღიარა ლიდსტოუნმა.

ბრიტანელი ზვიგენებს არ შეუშინდა და მათ გარემოცვაში იცურავა

ბრიტანელი ოლი რაში ღამის გაცურვის დროს 50-მდე ზვიგენს გადააწყდა, თუმცა მათთვის თავის არიდება არც კი უცდია და მათთან ურთიერთობით ერთობოდა.

36 წლის მოცურავე კუნძულ უაიტის გარშემო სწრაფი გაცურვისთვის ემზადებოდა. მან გადაწყვიტა, შუაღამის სავარჯიშო გაცურვა მოეწყო ქალაქ დორსეტის მახლობლად. მისი მეგობარი ეშლი მაკფერსონი სპორტსმენს ბაიდარით მიჰყვებოდა.

რაში ნაპირს 70 მეტრით მოშორდა და მოულოდნელად ფეხში დარტყმა იგრძნო. ის შეშინდა. მეგობარმა წყალში ფარანი ჩაანათა და მათ ათეულობით ზვიგენი შენიშნეს.

– სანამ ვარჯიშს შევუდგებოდი, ზვიგენების თავდასხმაზე ვხუმრობდით და ვიცინოდით. ეს ჩემი პირველი ღამის გაცურვა იყო, ამიტომ მეტად ავნერვიულდი, როდესაც წყალში რაღაცას შევეჯახე. როდესაც ეშლიმ თავისი ფარანი აანთო, მათი თვალები ჩვენ შემოგვცქეროდნენ. 50-მდე ზვიგენი დავთვალეთ, – აღნიშნა ოლი რაშმა.

ეს მწევარი ზვიგენების სახეობა იყო, რომელთა სიგრძე 120 სანტიმეტრს აღწევს. ზვიგენები 15 წუთის განმავლობაში დაცურავდნენ რაშის გარშემო და ხელებსა და ფეხებზე თავს ესხმოდნენ იმ ადგილებზე, რომლებიც ჰიდროკოსტიუმით არ იყო დაფარული. ამის გამო მოცურავეს სერიოზული დაზიანებები არ მიუღია.

– როდესაც მივხვდი, რომ ზვიგენები იყვნენ, უბრალოდ, ამ მომენტისგან სიამოვნებას ვიღებდი. სასიამოვნო იყო ამდენი მოზრდილი ზვიგენის ხილვა ბუნებაში. თავს გამორჩეულად ვგრძნობდი, – აღიარა ბრიტანელმა.

ალიგატორი ვოლიერიდან ამოხტა და თავი მომვლელის ფეხებთან ამოყო

ამერიკის კალიფორნიის შტატში რეპტილიების ზოოპარკში უზარმაზარი მშიერი ალიგატორი, სახელად დარტი, ვოლიერიდან ამოხტა და აღმოჩნდა მომვლელის ფეხებთან, რომელიც მისი გამოკვებით იყო დაკავებული. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ტიკტოკში ზოოპარკის გვერდზე გამოქვეყნდა.

ზოოპარკის თანამშრომელი ჯულიეტა დარტს პატარაობიდან კვებავდა. ვიდეოკადრებში ჩანს, თუ როგორ სწევს ვოლიერის მინის კარს გოგონა და ალიგატორებს ქათმის ხორცს უყრის.

– ბიჭებო, მზად ხართ? ქათმის რამდენიმე დიდი და გემრიელი ნაჭერი მოგიტანეთ, – მიმართა მათ გოგონამ.

საჭმლის დანახვაზე დარტი ზევით ამოხტა და მალე იატაკზე პირდაპირ ჯულიეტას ფეხებთან აღმოჩნდა, თუმცა გოგონას არ შეშინებია, სიცილი დაიწყო და კოლოფი, რომელშიც ქათმის ხორცის ნაჭრები ეწყო, მოშორებით გასწია, რათა ალიგატორს მთელი ხორცი ერთიანად არ შეეჭამა.

საბოლოოდ ჯულიეტამ და ზოოპარკის დამაარსებელმა ჯემ ბრიუერმა დარტი ასწიეს და ისევ ვოლიერში დააბრუნეს.

მრავალშვილიანმა დედამ მედდად მუშაობას თავი დაანება და შიშველი ფოტოების გაყიდვით გამდიდრდა

მრავალშვილიანი დედა ამერიკის მასაჩუსეტსის შტატიდან ონლაინპლატფორმაზე გამოქვეყნებული ეროტიკული ფოტოსურათების გამო იძულებული გახდა, სამსახური დაეტოვებინა.

ქალი ელი რეის ფსევდონიმით ახალდაბადებულთათვის განკუთვნილ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მედდად მუშაობდა. თავისუფალ დროს ის სოციალურ ქსელებში ეროტიკულ ფოტოსურათებსა და ვიდეოებს აქვეყნებდა. კოლეგებმა ონლაინპორტალზე მის გვერდს მიაგნეს და შიშველი სხეულის გამოქვეყნებისთვის მკაცრად გააკრიტიკეს, აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულების ხელმძღვანელობას მიანოდეს, მათ კი ქალს მოსთხოვეს, ან ფოტოსურათები და ვიდეოები წაეშალა, ან სამსახური დაეტოვებინა.

ზეწოლის შედეგად რეიმ სამსახური დატოვა და მთლიანად ონლაინსამყაროში საქმიანობაზე გადაერთო.

– მე ფული არ მჭირდებოდა, ონლაინპორტალზე გაცილებით მეტს გამოვიმუშავებდი, ვიდრე მედდად მუშაობით და ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებდი, რომ მომწონდა, – განაცხადა ქალმა, რომელიც ონლაინპორტალის წყალობით ამ დროისთვის თვეში დაახლოებით 70 ათას დოლარს გამოიმუშავებს. ქალის ოჯახი საკმაოდ შეძლებული გახდა და მალე ფლორიდაში საკუთარ სახლში საცხოვრებლად გადასვლას გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კვარაცხელია ტოპ 5 ლიგის მიღმა ყველაზე ძვირადღირებული ტალანტია

ერთ-ერთმა პრესტიჟულმა ევროპულმა სტატისტიკურმა გამოცემამ, საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის რუბინის ნახევარმცველი ხვიჩა კვარაცხელია, ევროპის ტოპ 5 ჩემპიონატის მიღმა მოთამაშე ფეხბურთელებს შორის ყველაზე ძვირადღირებულ და საუკეთესო ტალანტად დაასახელა.

საქართველოს ეროვნული გუნდის 20 წლის შემტევის სატრანსფერო ღირებულებად გერმანული კომპანია 18 მილიონ ევროს ასახელებს, რაც ქართველ ფეხბურთელებს შორისაც ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია.

წინა სეზონში, კვარაცხელიამ რუბინის მაისურით ყველა ტურნირზე ჩატარებულ 23 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა და 8 საგოლე პასი გააკეთა, ახალდაწყებულ სეზონში 6 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მეტოქის კარი ერთხელ აიღო.

ეროვნულ გუნდს კვარაცხელია მიმდინარე წელს გამართულ 3 შეხვედრაში 2 გატანილი გოლით დაეხმარა.

შავ ლომს მაისაშვილის გამოჯანმრთელებამდე მაისურაძე გაწვრთნის

პირველი პროფესიული ქართული ფრანჩაიზი შავ ლომი სექტემბრიდან რაგბი ევროპის სუპერ თასში ჩაებმება. ახალი კლუბის მთავარ მწვრთნელად საქართველოს მორაგბეთა ნაკრების თავკაცი ლევან მაისაშვილი მოიაზრებოდა და ამ ეტაპზე დანიშნულა კიდეც. თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, მაისაშვილი ახლა სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგში კორონავირუსით დაავადებული მკურნალობს. მისი გამოჯანმრთელება ბოლო პერიოდში კარგი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ სრულ რეაბილიტაციას 6 თვე დასჭირდება.

რადგან შავი ლომი „ბორჯღალოსნების“ საბაზისო გუნდია, რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით, მისი სამწვრთნელო შტაბი ნაკრების სტაფის წევრებით დაკომპლექტდა.

მაისაშვილის გამოჯანმრთელებამდე კი, გუნდს მისი ასისტენტი, უმცროსი „ბორჯღალოსნების“ თავკაცი ილია მაისურაძე გაწვრთნის, რომელსაც ლადო კილასონია დაეხმარება; მოთამაშეთა ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ირაკლი ჭყონია და დავით ნემსაძე იზრუნებენ; ჯიპიეს სისტემაზე ნიკა პინაიშვილი იმუშავებს; ფიზიო აბესალომ აბრამიშვილი და ედ ბარი იქნებიან; რეაბილიტოლოგი – უილიამ ლუისი; ვიდეო-ანალიზი – დავით რამიშვილი; ხოლო მენეჯერები – ვასილ აბაშიძე და ლექსო იორდანიშვილი.

16 წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა ნახევარფინალის შანსი დაიტოვა

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მიმდინარე 16 წლამდე ვაჟთა ევროჩელენჯერზე საქართველოს ნაკრებმა პირველი გამარჯვება მოიპოვა. ირაკლი ტომარაძისა და ნიკა ცინცაძის გაწვრთნილმა გუნდმა კვიპროსის ნაკრები – 86:76 დაამარცხა და მოგება-წაგებები გაუთანაბრდა. შეგახსენებთ, ჩვენი ნაკრები სადებიუტო მატჩში სლოვაკეთთან 76:77 დამარცხდა და კვიპროსელებთან გამარჯვებით სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა.

კვიპროსმა პირველ ტურში ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტ უნგრეთთან დიდი სხვაობით წააგო. მაშინვე ცხადი გახდა, რომ ეს გუნდი ჯგუფიდან გასვლისთვის ვერ იბრძოლებდა. გეტყვით, რომ 4-გუნდიანი ჯგუფიდან ნახევარფინალში 2 საუკეთესო გადის და საქართველოს ნაკრებს ფლეი ოფში გასვლის შანსი დარჩა. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში საქართველოს ნაკრები უნგრეთს ხვდება და გამარჯვების შემთხვევაში ნახევარფინალში გავა.

რაც შეეხება კვიპროსთან მატჩს, საქართველოს ნაკრებს თენგო გოგიშვილმა ულიდერა, რომელმაც 27 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. 18 ქულა, 7 პასი და 4 მოხსნა ლუკა ალავიძის ანგარიშზე დაგროვდა.

ჩვენმა მომავალმა მეტოქემ, უნგრეთმა, კი 86:63 მოუგო სლოვაკეთს და ჯგუფიდან გასვლა, ფაქტობრივად, გაინაღდა. მადიარები ნახევარფინალში იმ შემთხვევაში ვერ გავლენ, თუ საქართველოს ნაკრებთან 24 ქულით წააგებენ.

ბარსა კოუტინიოს მესის ნომერს სთავაზობს

ბარსელონასა და ბრაზილიელი ფეხბურთელის, ფილიპე კოუტინიოს ურთიერთობა საკმაოდ რთულად დაიწყო. კლუბს ფეხბურთელი ერთი პერიოდი განათხოვრებულიც კი ჰყავდა. ბოლო ინფორმაციებით, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა – ბარსელონას კოუტინიოს შენარჩუნება სურს და მზადაა, მას ლიონელ მესის ნომერი დაუთმოს. როგორც ირკვევა, „ბლაუგრანა“ თანახმაა, კოუტინიო შეინარჩუნოს და მას ბოლო შანსი მისცეს. ბარსას თავკაცი, რონალდ კუმანი დარწმუნებულია, რომ მესის წასვლის შემდეგ, კოუტინიოს უფრო მნიშვნელოვანი როლი და მოედანზე უფრო მეტი თავისუფლება ექნება, რაც თავის გამოჩენაში დაეხმარება.

ამასთან, ნიდერლანდელ სპეციალისტს 29 წლის ფეხბურთელის გაშვება არ სურს, რადგან შესაძლოა, ბარსელონა ილაიშ მორიბამ დატოვოს და პედრის შემცვლელი სჭირდება. ცხადია, კოუტინიოს დარჩენის ალბათობას ის ფაქტი ზრდის, რომ ბარსამ მას 10-ნომრიანი მაისური შესთავაზა.

საინტერესოა, რომ ესპანური მედიის ცნობით, კოუტინიო დარწმუნებული არაა, ღირს თუ არა 10-ნომრიანი მაისურის მორგება, რადგან დამატებითი წნეხის ქვეშ აღმოჩენის მიღების პერსპექტივა არ ხიბლავს.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

17 აგვისტო

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

უეფას ჩემპიონთა ღიგა

მონაკო-შახტარი	0:1
ზალცბურგი-ბრონდბიუ	2:1
შერიფი-დინამო (ზ)	3:0

უეფას ევროპის ღიგა

ცრვენა ზვეზდა-კლუჟი	4:0
ინგლისი. ჩემპიონღიგა	
ბარნსლი-ლუთონი	0:1
ბლექპული-ქოვენთრი	0:1
მილუოლი-ფულემი	1:2
პიტერბრო-კარდიფი	2:2
სუონსი-სტოკი	1:3
ჰადერსფილდი-პრესტონი	1:0
რედინგი-ბრისტოლი	2:3
გერმანია. სუპერთასი	
დორტმუნდი-ბაიერნი	1:3

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

იურგენ კლოპი: „მითხარით, ვინ გინდათ?“



როცა ევროპის სხვადასხვა გრანდები კოლოსალური ოდენობის თანხებს ხარჯავენ ვარსკვლავების ყიდვაში, ლივერპული სატრანსფერო ბაზარზე საკმაოდ პასიურობს.

ბოლო პერიოდში შემდგარი მსოფლიო დონის ფეხბურთელების ყიდვა მერსესაიდელთა სტრატეგია არასდროს ყოფილა. ზუსტად იგივე გრძელდება მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე, რომელშიც ლივერპულის ხელმძღვანელობამ ხელიდან გაუშვა ისეთი ვარსკვლავების შეძენის შესაძლებლობა, როგორებიც არიან: ჰარი კეინი, რომელუ ლუკაკუ, ჯეკ გრილიში და სხვები.

სამაგიეროდ, გუნდში მივიდა საკმაოდ კარგი, მაგრამ ჯერ ახალგაზრდა და არა ვარსკვლავური სახელის მქონე იბრაჰიმა კონატე. მიუხედავად ბოლო წლებში გუნდის დიდი წარმატებისა, ხელმძღვანელობა ბევრ ფულს მაინც არ ხარჯავს და ძველი ფეხბურთელების გაყიდვით ცდილობს ახლებისთვის ფულის შეგროვებას.

იურგენ კლოპი სწორედ ამ სიტუაციასა და ახალი ფეხბურთელების მოყვანაზე საუბრობს.

იურგენ კლოპი:

– ჩვენ ვერ დავხარჯავთ ფულს, რომელიც არ გვაქვს. თუ შენ ნამდვილად ხარ ლივერპულის ქომაგი, მაშინ აუცილებლად უნდა იყო კმაყოფილი იმ სიახლეებით, რომლებიც ამ რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა კონტრაქტებთან დაკავშირებით. ალისონი, ტრენტი, ფაბინიო, ვან დაიკი... მათი შენარჩუნება ძალიან სასიხარულო ამბავია.

კლოპმა, ასევე, სხვა გრანდების სატრანსფერო აქტიურობის შესახებ ისაუბრა.

– ჩვენ ყველამ ვიცით ჩელსის, სიტისა და პსჟ-ს სიტუაცია. ჩვენ სატრანსფერო საქმიანობის სრულიად განსხვავებული სტრატეგია გვაქვს, რომელიც ჩემი მოსვლის დღიდან წარმატებულად მუშაობს. ჩვენ ვხარჯავთ ფულს, რომელსაც გამოვიმუშავებთ. ლივერპული სხვა გუნდებს ფულის ხარჯვაში შეჯიბრს ვერ დაუწყებს. ამ გუნდებს ლიმიტი არ გააჩნიათ. ჩვენ კი, ლიმიტი გვაქვს. თუმცა, ეს სიტუაცია სეზონის ჩაფლავების გასამართლებელი მიზეზი არ უნდა იყოს. ჩვენ ყველაფერს ვეცდებით წარმატების მისაღწევად.

მიუხედავად ნახევარდაცვაში მერსესაიდელთა საკმაოდ დიდი სიღრმისა, ფანთა ნაწილი ნერვიულობს, რომ იგივე არ გამეორდეს, რაც წინა სეზონში. დეიან ლოვრენის ნაცვლად იმავე დონის ფეხბურთელით არჩანაცვლებამ, გუნდს ძალიან დიდი პრობლემები შეუქმნა. როგორც ჩანს, არც ვეინალდუმის წასვლის შემდეგ მოხდება მისი სრულფასოვნად ჩანაცვლება.

– ვეინალდუმი წინა სეზონში ყველაზე სტაბილური და ყოველთვის ფორმაში მყოფი ფეხბურთელი იყო. თუმცა, მე არ ვიცი, მისი ჩანაცვლება საჭიროა თუ არა. თქვენ მითხარით, ვისი მოყვანა გინდათ? მე გაბრაზებული არ ვარ, უბრალოდ მაინტერესებს, ვისით ხართ დაინტერესებულნი.

კლოპს რომ კითხვაზე ვუპასუხოთ, ინტერნეტში ვრცლად იწერება მერსესაიდელთა ინტერესის შესახებ პორტუგალიელ რენატო სანჩესისა და ასევე, გერმანელ ნიუჰაუსის მიმართ. თუმცა, კლოპი არ ჩქარობს...

რეალი ფეხბურთელების მუქთად გადაბირებაზე გადავიდა

ესპანური მედიის ცნობით, 2022 წელს მადრიდის რეალს, შესაძლოა, 5 ფეხბურთელი უფასოდ შეუერთდეს.

დიახ, უფასოდ და ამაზე მადრიდული კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ღიად მუშაობს. ესპანური გამოცემები მიუთითებენ. 2022 წლის 30 ივნისს საკუთარ გუნდებთან კონტრაქტები ეწურებათ ანტონიო რუდიგერს, პოლ პოგბას, ედუარდო კამავიგას, კილიან მბაპეს და ლეონ გორეცკას.

პერესს არაერთი გეგმა აქვს, რომელიც მომდევნო ზაფხულს გუნდის მნიშვნელოვან გადახალისებას გულისხმობს, თუმცა მოთამაშეების უფასოდ დამატების პერსპექტივა მეტისმეტად ხიბლავს.

ზემოთ ნახსენები 5 ფეხბურთელის ჯამური ღირებულება სატრანსფერო ბაზარზე 400 მილიონ ევროს აჭარბებს. მბაპეს ფასი 180 მილიონამდეა, 70 მილიონი ღირს კამავინგა, 60 მილიონა აფასებენ გორეცკას, რუდიგერის ფასი კი, დაახლოებით 25 მილიონი ევროა, ხოლო პოგბა მინიმუმ 65 მილიონად არის შეფასებული.

ეს გეგმა ბევრისთვის წარმოუდგენელი ჩანს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პსჟ-მ ჯანლუიჯი დონარუმას, სერხიო რამოსისა და ლეო მესის გადაბირება უფასოდ შეძლო, რაც ყველას შეუძლებლად მიაჩნდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

პოლიციამ დაკარგულ ცხენს მამაკაცის საწოლ ოთახში მიაგნო



პოლიციელებმა ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ოკონის ოლქის მკვიდრი დააპატიმრეს, რომელმაც ცხენი მოიპარა და შეეცადა, ის თავის საძინებელში დაემალა.

მეზობლებმა გარი ჩეიზ კობლი უმცროსი იმ დროს შენიშნეს, როდესაც მან ქუჩაში ცხენით გაიარა და შემდეგ ცხოველი თავის სახლში შეიყვანა. მათ ეჭვი გაუჩნდათ, რომ მან ცხენი მოიპარა და პოლიციას შეატყობინეს.

ადგილზე მისული სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მამაკაცის მამას დაუკავშირდნენ, რომელმაც მათ განუცხადა, რომ მისი შვილი ამ დროს სახლში არ უნდა ყოფილიყო. შემდეგ კობლის მამა მაინც მივიდა სახლში და პოლიციელებს სახლის კარი გაუღო. სასტუმრო ოთახის შესასვლელში იატაკზე ცხენის ნაკელი ეგდო.

მამაკაცის მამამ შვილს საძინებლიდან გამოსვლა მოსთხოვა. როდესაც პოლიციელებმა მისი შვილი დააკავეს, მათ საძინებელ ოთახში ცოცხალი ცხენი დახვდათ.

სამართალდამცავი ორგანოების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თავის მოხსენება-ანგარიშში დაწერა: „ამ დროს სრული ზომის ცხენი დავინახე, რომელიც შუა საძინებელში იდგა“.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ცხენი, სახელად ჯუბილი, მშვიდად იდგა. როგორც ჩანს, ის ამ შემთხვევის შედეგად არ დაშავებულა. როდესაც ცხოველის პატრონი შემთხვევის ადგილზე მივიდა, მან ცხენის ფეხზე მცირე ნაკაწრი შენიშნა. მისი თქმით, მისი ცხოველის ფასი დაახლოებით 6,5 ათას დოლარს შეადგენს.

კობლის შინაური პირუტყვის ქურდობის ბრალდება წაუყენეს. მანამდე ის სხვა დანაშაულების ჩადენაში იყო ეჭვმიტანილი და ეძებდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲯᲘᲝᲡᲕᲝᲰᲔᲚᲘ Ბ



შვეულად: 1. მთიანეთი აზიაში; 2. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 3. ბრიტანეთის ნაწილი; 5. მთავროის წევრი; 7. ბეთჰოვენის ოპერა; 9. სამედიატორო სასამართლო; 13. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 15. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 16. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 18. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა.

თარაზულად: 4. სასტუმრო თბილისში; 6. სამხედრო შენაერთის მღვდელი; 8. ქართველი მკლავჭიდელი, მსოფლიო ჩემპიონი; 10. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 11. გერმანელი მოდელიორი; 12. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 14. მდინარის მიერ მოტანილი სილა, ღორღი; 17. ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო პრეპარატი; 19. ამჟავებული ღვინო; 20. ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში; 21. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 22. ხეების ფესვებზე მზარდი საჭმელი სოკო; 23. ხელით სასროლი ძველებური ბასრწვერიანი იარაღი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. პედელი; 2. ოპტიკა; 3. კოქტო; 5. დოღი; 6. კელარი; 8. სიესტა; 11. ანჩისხატი; 13. ფიდიასი; 15. გუდაური; 19. თორი.

თარაზულად: 1. პინაკოთეკა; 4. ბოტეგა; 7. დეკრეტი; 9. ტაპიორი; 10. იანკი; 12. ვესტერნი; 16. მარიჯანი; 17. ედისონი; 18. პალეოლითი; 20. ტემპერა; 21. გიტი; 22. სპანიელი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ალფონსი; 2. რიტორიკა; 3. აირზენა; 5. კოსტიოლი; 7. კნესეტი; 9. კარანტინი; 13. ლიეტუვა; 15. მთიელი; 16. ჩინური; 18. მძიმე.

თარაზულად: 4. კლინკერი; 6. ეპიტაფია; 8. კონსამენტი; 10. კოსმოსი; 11. რენო; 12. უტოპია; 14. იმედი; 17. მტილი; 19. ხირსა; 20. ჩუღურეთი; 21. იგლუ; 22. დირექტივა; 23. დეგნანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.1283

ევრო
— 3.6648

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.3033

100 რუსული
რუბლი
— 4.2461

ამინდის პროგნოზი 19 აგვისტოსათვის



რომელუ ლუკაკუ: „მიხარია ჩელსიში დაბრუნება“

ჩელსის ახალწვეულმა რომელუ ლუკაკუმ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მას უხარია ლონდონში დაბრუნება და ის ეცდება, რომ გულშემატკივარს იმედი არ გაუცრუოს.

ლუკაკუს აზრით, მისთვის იდეალური იქნება ცენტრფორვარდად თამაში, მაგრამ ის ყველაფერში მწვრთნელს დაუჯერებს:

– მიხარია, რომ აქ დავბრუნდი და გუნდისთვის ძალებს არ დავიშურებ. ყოველთვის მინდოდა ჩელსიში დაბრუნება და მიხარია, რომ სურვილი ამისრულდა.

პიანიჩი შესაძლოა მილანში გადავიდეს



ბარსელონა მირალემ პიანიჩის გაშვებას ისევ აპირებს, მაგრამ იუვენტუსში მისი ტრანსფერი თითქმის გამორიცხა, რადგან ტურინელებს პიანიჩის შეძენა არ სურთ, თუმცა ასპარეზზე გამოჩნდა მილანი, რომელიც მზად არის, პიანიჩის ტრანსფერში 20 მილიონი გადაიხადოს. პიანიჩი ბარსელონას შარშან შეუერთდა, მაგრამ გუნდში თავის დამკვიდრება ვერ შეძლო.

მანუელ ლოკატელიმ იუვენტუსში სამედიცინო შემოწმება გაიარა

იუვენტუსის ახალწვეულმა მანუელ ლოკატელიმ იუვენტუსში სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და ის გუნდთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ლოკატელიმ კარგი ევროპის ჩემპიონატი ჩაატარა და მის მიმართ ყოველთვის იყო ყურადღება გრანდების მხრიდან, ამიტომ მისი იუვენტუსში ტრანსფერი მოულოდნელი არ ყოფილა. იუვენტუსმა ლოკატელის ტრანსფერში 35 მილიონი გადაიხადა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

უიშვიათესი თევზი-მაქცია ვიდეოზე გადაიღეს

მონტერეის ყურის კვლევითი ცენტრის აკვარიუმის მეცნიერებმა ვიდეოზე გადაიღეს უიშვიათესი ღრმაწყლოვანი თევზი, რომელიც ვეშაპისნაირთა რიგს განეკუთვნება.

მეცნიერებმა აღნიშნული კადრები ტელემართვადი წყალქვეშა აპარატისგან მიიღეს, რომელიც კალიფორნიის შტატის სანანპიროსთან 2013 მეტრის სიღრმეზე მუშაობდა. მკვლევარების მტკიცებით, 34-წლიანი დაკვირვების მანძილზე, სულ 18 ჯერ მოხერხდა ამ სახეობის წარმომადგენელთა დანახვა.

ვეშაპისნაირთა განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ მათ განსხვავებული გარეგნობის მიღება შეუძლიათ, რის გამოც მათ მაქციებს ადარებენ. მდედრები დიდი პირით და სხეულის ფორმით გამოირჩევიან, რომელიც ვეშაპს წააგავს, ხოლო მამრები უფრო პატარები არიან, თხელი, წაგრძელებული სხეული და შესამჩნევი ცხვირი აქვთ, რომლითაც მდედრს ყნოსავენ. ახალგაზრდა თევზები კი იმდენად განსხვავდებიან მშობლებისგან, რომ 2009 წლამდე მათ სხვა ოჯახის თევზებს მიაკუთვნებდნენ.

ასტროპროგნოზი

19 აგვისტოსათვის

ვერძი – ფინანსურ სფეროში დადებითი ცვლილებებია მოსალოდნელი, თუმცა გამორიცხული არ არის გაუთვალისწინებელი ხარჯებიც. ** კურო** – წარმატებული დღეა. ბიზნესში გიმართლებთ. სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **ტყუპები** – აქტიურობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **კირჩხიბი** – ძალებს გაუფრთხილდით. ენერგიის ფუჭად ხარჯვა რეკომენდებული არ არის. **ლომი** – ზედმეტი ხელგაშლილობა დაგაზარალებთ. სიამაყე საღად აზროვნებაში ხელს გიშლით. **ქალწული** – მოემზადეთ აქტიური მუშაობისათვის. იყავთ მობილიზებული და ინიციატივიანი. **სასწორი** – ნებისმიერ საქმეს თავს გაართმევთ, ოღონდ ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ღირსების გრძნობა შეინარჩუნეთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** – გაბედულება, სითამამე და ორგანიზებულობა დღის დევიზია. ემოციებს ნუ აჰყვებით. **თხის რქა** – დრო სწორად გაანაწილეთ. მთავარი საქმით დაიწყეთ. პირად ცხოვრებაში დაშვებული შეცდომა საჩქაროდ გამოასწორეთ. **მერწყული** – შესაძლოა, ახალი, თქვენთვის უცნობი საქმის კეთება მოგიხდეთ. საბოლოო შედეგი მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **თევზები** – სასიამოვნო ინფორმაცია თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყებაზე მიანიშნებს. ნუ იჩხუბებთ ახლო ნათესავებთან.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

დედა შვილს ეკითხება:

– შვილო, ყველას რატომ მოუყევი, რომ მათემატიკის და ფიზიკულტურის მასწავლებლები ერთმანეთს კოცნიდნენ?!

– თვითონ მასწავლებელმა მთხოვა.

– როგორ თუ თვითონ?

– როგორ და კლასში ყველას თვალწინ მითხრა: „მანდ, უკანა მერხზე რომ მიყუჟულხარ და იკრიჭები, ადექი და ყველას მოუყევი, იქნებ ჩვენც გავიცინოთ“.

•••

მამაკაცს ეკითხებიან:

– თუ შეიძლება გვიპასუხეთ, სამსახურში სელფის თუ იღებთ და შემდეგ სოციალურ ქსელში თუ აქვეყნებთ?

– მასეთი რამ თავში აზრადაც არ მომსვლია.

– კი მაგრამ, ბევრი იქცევა ასე.

– იცით რა, მე გინეკოლოგი ვარ.

•••

სტუმარი მასპინძელს ეკითხება:

– რა მშვენიერი კატა გყოლიათ და რა ჰქვია?

– დეპუტატი.

– ეს რა უცნაური სახელია კატისთვის...

– სამაგიეროდ, სრულიად შესაფერისი...

– ეგ როგორ?

– ჭამს, სვამს, აბინძურებს, სძინავს და არანაირი სარგებელი არ არის მისგან...

•••

მამაკაცს ეკითხებიან:

– რატომაა, რომ წითურთმიან ქალებს უწესრიგო სექსის მიმართ უფრო მეტი მიდრეკილება აქვთ?

– იმიტომ, რომ როდესაც სახურავი დაჟანგებულია, სარდაფში ყოველთვის სისველეა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანუკი არეშიძე: „ანუკი“ სამთავრობო უნიფორმებს არ კერავს“

დიზაინერი ანუკი არეშიძე მასმედიით გავრცელებულ ბრალდებებს პასუხობს:

– მსურს, გავაკეთო ოფიციალური კომენტარი მედიის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციაზე და სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ბრენდ „ანუკი“-ს, დაარსებიდან დღემდე არავითარი პირდაპირი ან ირიბი შემხებლობა არ ჰქონია შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ან სხვა სამთავრობო სტრუქტურის უნიფორმების ან სხვა ტიპის სამოსის წარმოებასთან.

ასევე ვადასტურებ, რომ არც კომპანიის მომავალ გეგმებში შედის სახელმწიფო სტრუქტურებისთვის მსგავსი ტიპის მომსახურების განევა.

ჩვენი კომპანიის სრული საწარმოო რესურსი მიმართულია ბრენდ „ანუკი“-ს, ქალის სამოსის სეზონურ წარმოებასა და რეალიზაციაზე. განსაკუთრებით გვეამაყება, რომ ჩვენი ბრენდის წარმოებული სამოსი წარმატებით გადის ექსპორტზე მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. შესაბამისად, ჩვენი მთავარი მიზანი და ორიენტირი გახლავთ საექსპორტო ბაზრების გაფართოება და საქართველოში წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით.

ლადო გუდიაშვილის უცნობი ნახატების კატალოგი გამოიცემა

ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის უცნობი ნახატების კატალოგი მალე გამოიცემა.

ხელოვნების სასახლე უკვე მუშაობს აღნიშნულ გამოცემაზე. „უცნობი ლადო გუდიაშვილი“ – ასე ერქმევა კატალოგს, რომელიც მხატვრის აქამდე გამოუქვეყნებელ ან ნაკლებად ცნობილ ნამუშევრებს გააერთიანებს.

გამოცემაში შევა ლადო გუდიაშვილის მიერ შექმნილი სპორტული კოსტიუმების ესკიზები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდისა და სპორტული ცეკვებისათვის. კოსტუმები მხოლოდ ესკიზების სახით განხორციელდა.

მხატვარი დიმიტრი ერისთავი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა

რამდენიმე დღის წინ მხატვარი დიმიტრი ერისთავი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა

სამხატვრო აკადემიის პედაგოგმა და გრაფიკის მიმართულების პროფესორმა სტუდენტების არაერთი თაობა გაზარდა, წლების განმავლობაში იყო გრაფიკის ფაკულტეტის სადიპლომო ნამუშევრების ხელმძღვანელი, მრავალი როგორც პერსონალური, ისე ჯგუფური გამოფენის მონაწილე საქართველოში თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დამდგმელ მხატვრად მუშაობდა ელდარ შენგელაიასა და ოთარ იოსელიანთან. მის მიერ შესრულებული ილუსტრაციებით გამოცემულია ასობით წიგნი. ავტორია კინოაფიშებისა: „სხვისი შვილები“, „ქორწილი“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „გიორგობისთვე“, „ყვარყვარე“, „ცისფერი მთები“, „ექსპრეს-ინფორმაცია“.

სხვადასხვა წლებში ხელოვანი დააჯილდოვეს ღირსების ორდენით, შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიით, საქართველოს სახალხო მხატვრისა და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცი დათვრა, ბარში იჩხუბა და ამისთვის კომპენსაციას მიიღებს

ამერიკის ტეხასის შტატის ანდრუს ოლქის მცხოვრებმა დენიელ როულზმა ბარისგან კომპენსაციის სახით 5,5 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს იმისთვის, რომ იქ დათვრა და სხვა მომხმარებელთან იჩხუბა.

ერთ დღეს როულზი ადგილობრივ გრილ-ბარში მივიდა, სადაც მაგრად დათვრა და სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა რობერტ ჰენრიკსთან. მამაკაცებმა ურთიერთობის გარკვევა ბართან მდებარე ავტოსადგომზე დაიწყეს, რაც მოგვიანებით ჩხუბში გადაიზარდა. როულზის თქმით, ჩხუბის დროს ის დაეცა და თავის არეში დაზიანება მიიღო.

17 მაისს როულზმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა გრილ-ბარის წინააღმდეგ. მოსარჩელემ განაცხადა, რომ დაწესებულების მფლობელმა ლურდეს გალინდომ ბარმენს არ ასწავლა, დროულად შენიშნოს, რომ კლიენტმა მეტისმეტი დალია და ამის გამო გარეშემყოფთათვის შესაძლოა საშიში გახდეს. როულზმა გრილ-ბარის თანამშრომლებს გულგრილობა დასდო ბრალად იმის გამო, რომ სასწრაფო დახმარება არ გამოიძახეს. მამაკაცი ასევე იმანაც აღაშფოთა, რომ ავტოსადგომი არ იყო გასუფთავებული ისეთი საგნებისგან, რომლებსაც ნასვამი ადამიანი შეიძლება წამოსდებოდა და ძირს დაცემულიყო.

სასამართლომ გადაწყვეტილება მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ გამოიტანა, ვინაიდან მოპასუხე მხარემ, დაწესებულების მფლობელმა, სარჩელზე არ უპასუხა და არც სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა. როულზს კომპენსაციის სახით 5,5 მილიონი დოლარი მიეკუთვნა, რომელიც დაწესებულებამ უნდა გადაუხადოს. გრილ-ბარს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის 30 დღე აქვს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. მთიანეთი ევროპაში; 2. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 3. საზეიმო წვეულება; 5. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 6. დარიშხანის საბადო რაჭაში; 8. ქართველი თეატრალური პრემიის ლაურეატი; 11. პოლონელი მწერალი; 13. ოთხსიმიანი ხემიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ორლოპოტიანი ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 15. ხელოვნური აბრეშუმი; 19. აფრიკული ანტილოპა.

თარაზულად: 1. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ძვირფასბეწვიანი კურდღელი; 7. ქოსა მამაკაცის ქართული სახელწოდება; 9. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტრო ხელსაწყო; 10. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ქვიშიანი უდაბნო შუა აზიაში; 16. ქართული ხალხური ცეკვა; 17. უღელტეხილი აჭარაში; 18. აპენინისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულებს შორის მდებარე ზღვა; 20. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 21. წყალქვეშა კლდე; 22. წიგნის, სტატიის მოკლე შინაარსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა